საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი-სამშაბათი, 17-18 მაისი. 2021 წ. №105-106 (9224-9225) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ილია მეორე: კეთილი გაიმარჯვებს, არ უნდა შეგეშინდეთ!!!

ახალგაზრდებს მიაქციეთ ყურადღება, მათ სჭირდებათ სითბო მშობლებისა, — ამის შესახებ ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას განაცხადა.

„ჩვენ ვცხოვრობთ რთულ დროს, როცა ძლიერდება ცოდვა, მაგრამ ამავე დროს ძლიერდება კეთილი საქმე და რწმენა. კეთილი გაიმარჯვებს. არ უნდა შეგეშინდეთ. სიკეთემ უნდა იმარჯვოს. ჯვარი გეწეროთ. მე გლოცავთ თქვენს ოჯახებს, შვილებს. ახალგაზრდებს მიაქციეთ ყურადღება, მათ სჭირდებათ სითბო მშობლებისა“, — აღნიშნა პატრიარქმა.

ბენიამინ ნეთანიაჰუ მხარდაჭერისთვის მადლობას გვიხდის



ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ ისრაელის მეგობარ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობას უხდის.

„მადლობას გიხდით იმისთვის, რომ ისრაელის გვერდით მტკიცედ დგახართ და მხარს უჭერთ ჩვენს უფლებას, თავი დავიცვათ ტერორისტული თავდასხმებისგან“, — დაწერა ისრაელის პრემიერმა Twitter-ზე.

შავ ზღვაში ნატო-რუსეთის დაპირისპირება გარდაუვალია!.. 8



„სააკაშვილი – უკრაინაში რეფორმების მთავარი უბედურება“... 2

დედაქალაქის დალოცვა!..

სასულიერო პირები დღეს თბილისის ქუჩებს აკურთხებენ

2021 წლის 17 მაისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2018 წელს დაწყებული ტრადიციისამებრ, მოხდება დედაქალაქის დალოცვა, — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გამო წელს საყოველთაო მსვლელობა და ფართომასშტაბიანი ღონისძიება არ გაიმართება.

„დედაქალაქის ქუჩების კურთხევას უზრუნველყოფს ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნი“.

ამ მიზნით, მოძღვრები დღეს, 11:00 საათზე, შეიკრიბებიან ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში და იკურთხება წყალი (მცირე აიაზმა); შემდეგ კი ისინი ხუთი მიმართულებით გაემართებიან, რათა აკურთხონ მოსახლეობა და ქუჩები.

გურამ ქაშაკაშვილის კიდევ ერთი სამოქალაქო გმირობა...



„სამთო-მეტალურგიული ენციკლოპედიის“ ორტომეულის გამოცემის გამო

გურამ ქაშაკაშვილის სამოქალაქო გმირობის თაობაზე ამას წინათ ვწერდი გურამთან ერთ-ერთ ინტერვიუში, როცა მან რედაქციაში შემოიარა და საჩუქრად დატოვა ორ უზარმაზარ ტომში მოქცეული „სამთო-მეტალურგიული ენციკლოპედია“.

ენციკლოპედიების გამოცემის თვალსაზრისით, ქართველები დიდად არა ვართ განებივრებულნი. რასაკვირველია, უწინარესად დარგობრივ ენციკლოპედიებს ვგულისხმობ. ამიტომ ამ ამბავმა, ცხადია, დიდად გაგვახარა.

ამ ჭეშმარიტად დიდ ეროვნულ ქართულ საქმეს, რომელსაც უმაღლესი შეფასება და რეცენზიები ახლავს საქართველოს, რუსეთის და უკრაინის მეცნიერებათა აკადემიათა აკადემიკოსთაგან, რა თქმა უნდა, ფართო საზოგადოებას შეფასებაც შესაბამისი უნდოდა, რაც მე, როგორც ჟურნალისტს, მთლად არ ხელმეწიფებოდა. მე შემეძლო მხოლოდ აღტაცება და აღფრთოვანება გამომეხატა და არა საფუძვლიანად შემეფასებინა სამთო-მეტალურგიული დარგი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური სიცოცხლისთვის. არადა, ჩემი სიხარული მინდოდა, ფართო საზოგადოებისთვისაც გამეზიარებინა. ამიტომ გადავწყვიტე, რომ ამ თვალსაზრისით ამ საკითხის ჩემზე ბევრად მცოდნე ადამიანთათვის მიმემართა, როგორც იტყვიან, კითხულ კაცთათვის, ჭკუის საკითხავთათვის.

პირველი, ბუნებრივია, აკადემიკოსი როინ მეტრეველი წარმომაგონდა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ერთ-ერთი ფრიად გამოცდილი ენციკლოპედისტი, რომელმაც ცხონებულ ირაკლი აბაშიძესთან ერთად პირველ ქართულ ენციკლოპედიას ურედაქტორა, თორმეტტომეულს.

„სამთო-მეტალურგიული ენციკლოპედია, რომლის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა ჩვენი ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე, ხოლო მთავარი რედაქტორი და გამომცემელი პროფესორი გურამ ქაშაკაშვილი, ჭეშმარიტად უბადლო ისტორიული გამოცემაა, — ამბობს ბატონი როინი, — რადგან ტერმინებთან ერთად ორტომეულში მოცემულია, სამთავრობო არქივის საქართველოს ენციკლოპედიის ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის როლი, ქიმიური, ნახშირების მრეწველობის, სხვა დარგების და მეცნიერებათა აკადემიის დარგობრივი კვლევითი ინსტიტუტების დაფუძნება-განვითარების, საქართველოს ინდუსტრიალიზაციის განხორციელებით შექმნილი დიდი ეროვნული განძის სიკეთე“.

მერე ახლა ვინ, ვინ და ამ დარგში ფრიად ჩახედული, ბიოგრაფიული ენციკლოპედიის — „საქართველოს ენერგეტიკოსების“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს ენერგეტიკის პირველი მინისტრი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს დამსახურებული ენერგეტიკოსი რევაზ არველაძე შევაწუხე. ვინც ამ ადამიანის ბიოგრაფიას იცნობს, შეუძლებელია, რომ მადლიერი არ დარჩეს იმ თვალსაჩინო ღვაწლით, რაც მას პირნათელს ხდის ქვეყნის წინაშე.

ჰოდა, „სამთო-მეტალურგიული ენციკლოპედიის“ საგაზეთო შეფასებისთვის მივადექი თავისი დამსახურებით ქვეყნის წინაშე ამ პირნათელ ადამიანს.

იხ. 6-7 გვ.

ცრუმედიასაშუალებები პრემიერის დისკრედიტაციას განაგრძობენ

გუშინ ირაკლი ღარიბაშვილთან დაკავშირებით ეთერში გასული სიუჟეტები წარმოადგენს დეზინფორმაციული კამპანიის ნაწილს, – ამის შესახებ მთავრობის სტრატკომის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

„კონკრეტული მედიასაშუალებები აგრძელებენ ცრუ და დაუსაბუთებელ ინფორმაციაზე დაყრდნობით პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის დისკრედიტაციის მცდელობებს. ამჯერად აღნიშნული ტელეკომპანიები ავრცელებენ დეზინფორმაციასა და ფეიკნიუსს ირაკლი ღარიბაშვილის ბიზნესინტერესებზე კონკრეტულ კომპანიებში, ასევე კავშირებზე ირანული ნავთობის კონტრაბანდასთან და მის წინააღმდეგ სანქციების შესაძლო დაწესებაზე“, – აღნიშნულია მთავრობის სტრატკომის განცხადებაში. როგორც განცხადებაშია ნათქვამი, აღნიშნული არის აბსურდული და სრულიად უსაფუძვლო ბრალდებები, რომლებიც დაფუძნებულია გაუგებარ ვარაუდებსა და ვერსიებზე.

„გუშინ ეთერში გასული სიუჟეტები, ისევე როგორც პრემიერ-მინისტრის ინიციატივის – პროგრამა „განახლებული რეგიონების“ შესახებ გავრცელებული ფეიკნიუსი, წარმოადგენს დეზინფორმაციული კამპანიის ნაწილს, რომელსაც აღნიშნული მედიასაშუალებები ჯერ კიდევ თავდაცვის მინისტრობის პერიოდიდან ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ ახორციელებენ, რაც პრემიერ-მინისტრის დისკრედიტაციის მორიგ წარუმატებელ მცდელობებს წარმოადგენს“, – ნათქვამია მთავრობის სტრატკომის განცხადებაში.

საქართველოს ელჩი დაბრუნდა..

„როცა საკითხი ეხება ქვეყნის ღირსებასა და თავმოყვარეობას, ქვეყანას აქვს უფლება ჰქონდეს რეაქცია, გამოხატოს უკმაყოფილება. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენ მიერ გამოხატული უკმაყოფილება არ სცილდებოდა დიპლომატიურ პრაქტიკაში არსებულ სტანდარტს.

აქედან გამომდინარე, უკრაინული მხარე სრული გაგებით შეხვდა ჩვენს ქმედებას და ჩემი ჩამოსვლის შემდეგ, როგორც გითხარით, მქონდა შეხვედრა სამინისტროში. გარდა მინისტრისა, მქონდა კიდევ მინისტრის მოადგილეებთან შეხვედრები.

ყველა შეხვედრამ ჩაიარა ძალიან თბილად, სრულად არის აღქმული ჩვენი უკმაყოფილება და აქედან გამომდინარე, ახალი ტალღა იქნება დღევანდელი ვიზიტი, ახალი იმპულსი, მძლავრი იმპულსი ჩვენს სტრატეგიული თანამშრომლობის საკითხებში“, – განაცხადა შარაშენიძემ. უკრაინაში საქართველოს ელჩი თეიმურაზ შარაშენიძე კიევში დაბრუნდა.

...უკრაინაში ზალკალიანიც ჩავიდა

ეს ვიზიტი იქნება უფრო ახალი და მძლავრი იმპულსი ჩვენს სტრატეგიულ ურთიერთობებში, – ასე ეხმაურება საქართველოს ელჩი უკრაინაში დავით ზალკალიანის ვიზიტს კიევში. თეიმურაზ შარაშენიძის თქმით, ვიზიტის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობისა და რეგიონული უსაფრთხოების საკითხები განიხილება.

„მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტია რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში იმიტომ, რომ უკრაინა არის საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი. ჩვენ გვაქვს ერთნაირი გამოწვევები, ერთნაირი სტრატეგიული მიზნები და სწორედ ამ საკითხების განსახილველად ჩამოდის ბატონი მინისტრი. საკითხები ეხება დეოკუპაციას, ევროპულ და ატლანტიკურ ინტეგრაციას და განსაკუთრებით რეგიონული უსაფრთხოების საკითხები იქნება მნიშვნელოვანი და ამ კუთხით შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხი. ასევე განხილული იქნება ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთთანამშრომლობის სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

მეორე მნიშვნელოვანი მიზეზები გახლავთ ის, რომ უკრაინის ირგვლივ არსებული დაძაბული სიტუაცია ჯერ არ არის ბოლომდე დამთავრებული და ბატონი დავით ზალკალიანის ვიზიტი ერთგვარი მხარდაჭერისა და სოლიდარობის გამომხატველი აქტი იქნება. მესამე, ბოლო 9 წლის განმავლობაში ეს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი ოფიციალური ვიზიტია“, – განაცხადა შარაშენიძემ.



„სააკაშვილი - უკრაინაში რეფორმების მთავარი უბედურება“...

მიხეილ სააკაშვილის უკრაინის რეფორმების ტახტზე აყვანამ ჩვენს ქვეყანას სასარგებლო ცვლილებების ბოლო იმედი წაართვა, – აცხადებს Obozrevatel TV-ს გამომძიებელი ჟურნალისტი, ვალერი ტოვმაჩი გადაცემაში **„სააკაშვილი – უკრაინაში რეფორმების მთავარი უბედურება“.**

საავტორო გადაცემაში ჟურნალისტები ვალერი ტოვმაჩი და ოლეგ დეინეკა უკრაინაში გზების მშენებლობასა და მიხეილ სააკაშვილის თანაგუნდელების როლზე საუბრობენ.

„გზები არ აშენებულა და არც აშენდება. თურქების მიერ აშენებული გზები და ავტომაგისტრალები ერთი შეხების შემდეგ იფშვნება. თურქი სპეციალისტების პრეზიდენტის პროექტ „დიდ მშენებლობაში“ მონაწილეობა წარუმატებელი აღმოჩნდა და ახლა უკრაინელები მას როგორც დიდ ქურდობას მოიხსენიებენ. კომპანია „ალტკომის“ მიერ დაგებული ასფალტი ფეხბურთში 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ შენარჩუნდა, თუმცა ახალი ხელისუფლება სააკაშვილის გუნდთან ერთად „ევრო 2012“-ის მთავარ მშენებელს დევნის. მათ სპეცრაზმელები ესხმიან თავს მიხეილ სააკაშვილის თანაგუნდელის, გიზო უგულავას ხელმძღვანელობით“, – აცხადებენ უკრაინელი ჟურნალისტები.

ვალერი ტოვმაჩი და ოლეგ დეინეკა ასევე აღნიშნავენ, რომ მთელი წლის განმავლობაში, ყველა სატელევიზიო ეთერში სააკაშვილს მხოლოდ ფინანსების საკითხი აწუხებდა.

„საქართველოს ბიუჯეტის გაფლანგვისთვის გასამართლებულმა პირმა უკრაინის მთავარი რეფორმატორის ადგილი დაიკავა და ნებისმიერ შესაძლებლობას იყენებს უკრაინაში საჭირო რეფორმების გასატარებლად“, – აღნიშნავენ გადაცემის წამყვანები.

პარტია „5.10“-ის ლიდერი გენადი ბალაშოვი აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილი რეფორმების ოფისს სათავეში ჩაუდგა და მუდმივად გამოდის ინიციატივებით, რომელიც შედეგს არ იძლევა.

ჟურნალისტი ვალერი ტოვმაჩი აღნიშნავს, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ დაპირებულმა ანტიკორუფციულმა რეფორმამ კრახი განიცადა.

„საბაჟოებსა და საგადასახადო ორგანოებში როგორც ადრე იღებდნენ ქრთამს, ისევე იღებენ ახლაც. მთავარი რეფორმატორის პოსტზე მისი ბობოქარი საქმიანობის შედეგი მხოლოდ საჩვენებელი სკანდალები გახდა. სააკაშვილი უკრაინელი ხალხის გადასარჩენად სასურსათო, კომუნალური და სამედიცინო რეფორმების გატარების საჭიროებას არ ხედავს. ხალხი ბუზებივით იხოცება. სამედიცინო სფერო სულ უფრო და უფრო ეშვება კორუფციულ უფრსკულში. რეფორმების ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნით უკრაინელი ხალხი მიხეილ სააკაშვილის კერძო ინტერესების მძევალი გახდა“, – აცხადებს ჟურნალისტი.

გადაცემის ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ საქართველოს გაქცეულ პრეზიდენტს ღიად უწოდებენ შულერს.

„ხატია დეკანოიძის ხელმძღვანელობით შს ორგანოების რეფორმის კრახმა უკრაინის ახალი პოლიციის ტოტალური მექრთამეობა და რაიონულ განყოფილებებში იანუკოვიჩის დროინდელი მხეცობა გამოიწვია“, – ამბობს ჟურნალისტი.

გამომძიებელი ჟურნალისტები ასევე აღნიშნავენ, რომ სხვა სფეროებში სააკაშვილის რეფორმების ამგვარი პერსპექტივა აშკარა გახდა უკრაინის მთავრობის ხელმძღვანელისთვისაც კი.

„უკრაინის ცენტრალური ხელისუფლებისადმი ნდობის მუდმივმა შერყევამ პრემიერი აიძულა მიხეილ სააკაშვილისთვის წერილი გაეგზავნა იმის თაობაზე, რომ უკრაინის მთავრობა ვერ შეძლებს სააკაშვილის პროექტების შემდგომ განხორციელებას. უკრაინაში ყველა მიმართულებით ტოტალური კრახის ფონზე, მთავარმა რეფორმატორმა განაცხადა, რომ შემოდგომას საქართველოში ბრუნდება. დრო გვიჩვენებს სააკაშვილის სიტყვების ფასს“, – აცხადებს გადაცემის წამყვანი.

„მარშალპრესი“

„ნაციონალები“ დაიბნენ!..

„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის, ზაალ უდუმაშვილის განცხადებაზე კომენტირებისას ალუდა ღუდუშაურმა აღნიშნა, რომ როგორც ჩანს, ზაალ უდუმაშვილისა და მიხეილ სააკაშვილის კომუნიკაციაში შეფერხებაა. ალუდა ღუდუშაურის თქმით, „ნაციონალურ მოძრაობაში“ მიხეილ სააკაშვილისგან დირექტივებს ელოდებიან.

„როგორც ჩანს, ზაალ უდუმაშვილი ვეღარ იღებს ბატონი სააკაშვილისგან მესიჯებოქსს. როგორც ჩანს, მათ კომუნიკაციაში შეფერხება არის, ამდენად სრულ დაბნეულობაში და გაურკვევლობაში არიან. რასაკვირველია, ცხადია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ პრაქტიკულად ხელმძღვანელი და მათი მეთაური არის ბატონი სააკაშვილი, რომელიც არის კრიმინალი და უცხო ქვეყნის მოქალაქე. ამდენად, „ნაციონალური მოძრაობა“ არის საკმაოდ დაბნეული. ბუნებრივია, ელოდებიან იმ დირექტივას, რასაც ეტყვის მათი ფარაონი, ბატონი სააკაშვილი. ამდენად, როგორც ჩანს, ახლა უკვე პარტიის ფორმალური, დე იურე მმართველი ვინც არის, ანუ ბატონი მელია, უნდა ეახლოს ფარაონს, მიიღოს დირექტივები და შემდეგ გადაწყვეტენ, რა გზით წავიდნენ. მაგრამ ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ სახე, როგორი გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღონ, მაინც რჩებიან ქუჩაში და კარვებში. ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ დღევანდელი სახე“, – განაცხადა ალუდა ღუდუშაურმა.

„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა, ზაალ უდუმაშვილმა განაცხადა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ან ზოგადად ოპოზიცია საპროტესტო აქციებზე უარს არ ამბობს და არაერთი საპროტესტო აქცია გაიმართება.

დიდი სტუმრიანობა აქვს ფიურერს კიევში

„ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ნიკა მელია, პარტიის წევრებთან ერთად, კიევში გაემგზავრა.

როგორც პარტიის პრესსამსახურში საქართველოს პირველ არხს განუცხადეს, მიხეილ სააკაშვილთან შესახვედრად უკრაინაში ასევე გაემგზავრნენ კობა ნაყოფია, პეტრე ცისკარიშვილი, ეკა ხერხეულიძე, კახა ოქრიაშვილი, აკაკი მინაშვილი და ბაჩო დოლიძე. „ნაციონალური მოძრაობის“ პრესსამსახურში აცხადებენ, რომ პარტიის წარმომადგენლები მიხეილ სააკაშვილთან საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს განიხილავენ.

პოლიტიკური სათაგური



ორთვენახევარი ხეხვის შემდეგ ციხიდან ოპოზიციის „ლომის“ ნიკანორ მელიას გამოსვლის აჟიოტაჟმა ყველას და ყველაფერს გადაამეტა. ეს ამბავი იქცა ქვეყნის უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს მოვლენად. მან ახალი იმპულსი შესძინა პოლიტიკურ სპექტრს. ენმ-ს იმედი მიეცა, გმირი დაბრუნებისთანავე აღადგენდა ოპოზიციის წიბოჩამონგრეულ ერთობას. ნაცმოძრაობა და მასზე შეციცინებული წვრილი პარტიები ტყავიდან ძვრებიან, რათა ნიკა მელია თანამედროვე ცოტნე დადიანად წარმოჩინონ.

მაგრამ ამასთან ერთად შეიმჩნევა ერთი საგულისყრო საპირისპირო მოვლენაც. მელიას გათავისუფლებამ, უხვი დეკლარაციული განცხადებების მიუხედავად, საკმაოდ გაამძაფრა ნერვიული ატმოსფერო ერთ დროს მონოლითურად ერთიან, მტკიცე ოპოზიციაში, რომლისგანაც დღეს აღარაფერი დარჩა ნაღვლიანი მოგონებების გარდა.

შევა დიდი ნიკანორი, ანუ ნაცების პარტია პარლამენტში და „გაახარებს“ ირაკლი კობახიძეს? აპატიებს ღალატის

თანაბარ სეპარატიზმს თანამედროვე მარია სპირიდონოვას — სალომე სამადაშვილს? როგორ წარიმართება მისი პოლიტიკური თანამშრომლობა ოპოზიციის ფაქტობრივ ლიდერთან მიშა სააკაშვილთან? მართლა აჩვენებს სეირს გირჩელ იაგოს და ვახოს? შეიცვლება თუ არა ტონი ერთ დროს მეგობარ „სტრატეგია აღმაშენებელთან“ მიმართებაში, რაც დღეს „შეჩათლახოს“ დონეზეა? ა.შ.და ა.შ.

საერთოდ კი ნიკანორის ციხეში შესვლისა და გამოსვლის მთელი ეპოპეა საოცრად მაგონებს დიდი **ვაჟა-ფშაველას** მშვენიერ მოთხრობას **„სათაგურს“,** ოღონდ, რა თქმა უნდა, გარკვეული პირობითობით. ნება მომეცით, გაგახსენოთ.

ძია ესტატემ (ანგარიში გავუწიოთ ოპოზიციას და მასში თუნდაც ბიძინა ივანიშვილი ან სულაც მიშა სააკაშვილი ვიგულისხმოთ) ქალაქიდან სათაგური ამოიტანა მომრავლებული თაგვების დასაჭერად. სათაგურში სატყუარად ნიგვზის მოშუშული **ლებანი (ანუ ვადამდელი არჩევნების იდეა)** წამოაგეს და განჯინაში შედგეს. სათაგვეთის სამეფოში დიდი ჩოჩქოლი ატყდა. განჯინიდან არაჩვეულებრივი, გულის წარმტაცი, ყნოსვის დამატკბობელი სუნი გამოდიოდა. მთელი გუნდი თაგვებისა დაიძრა ამბის გასაგებად, წინ მიუძღოდათ სახელოვანი **ფიცხელა** (ვიგულისხმოთ გმირი **ნიკა მელია**), განთქმული სიმარდით, გულადობით და გამბედაობით. იმას მოსდევდა **ცელქა (ვთქვათ, ჭიჭე ვაშაძე),** შემდეგ **ცქმუნა (გიგა ბოკერია),** მერე **კუდა (ზურაბ ჯაფარიძე), ფხორა (მამუკა ხაზარაძე),** დანარჩენი თაგვების სახელებს რა ჩამოთვლის, მთელი ფარა იყო. როცა განჯინაში ჩამოიხედეს, ცოტა არ იყოს, შეკრთნენ-სათაგური დაინახეს.

— უნდა ახლოდან განვჩხრიკოთ, მაგრამ ვინ განჩხრეკს, საქმე ისაა?! — ბჭობდნენ თაგვები.

— აქ რას ვაკეთებ? ვაჰ, დედას ჩემი მტრისასა! განა ეგრეც დავლაჩრდით! უნდა შევარცხვინოთ სათაგვეთი? — თქვა ფიცხელამ.

— შენ იცი! — დართეს ნება სხვა თაგვებმა. — მხოლოდ ახლოს არ მიეკარო, შორიახლოდან გაჩხრიკე!

ფიცხელამ სათაგურს რამდენჯერმე შემოუარა, ვერაფერი სახიფათო ვერ დაინახა, სათაგური უბრალო მავთულის ჭურჭლად დასახა, სადაც ერთი ლებანი იყო დარჩენილი, უთადარიგო დიასახლისს დავიწყებია. დაბრუნდა და თავის ამხანაგებსაც ესევე უამბო.

— რას იტყვით, ბიჭებო?!-უთხრა ფიცხელამ თაგვებს, — მე საშიშს იქ ვერაფერს ვხედავ. გაბედავს ვინმე შიგ შესვლას თუ ვერა?

— მოდით მოვერიდოთ, სულ დავანებოთ თავი. — თქვეს თაგვებმა.

— ჰაი, თქვე ლაჩრებო, თქვენა. ეგ არის თქვენი ბიჭობა, რომ ტრაბახობთ, მე ეს ვაჟკაცობა ჩავიდინე, მე ესაო. შეგირცხვათ ვაჟკაცობა! მე წავალ და მიცქირეთ, რა ბიჭია ფიცხელა!-თქვა და სათაგურისკენ გაემართა, ხოლო სხვა თაგვებმა სული განაბეს და შორიდან უთვალთვალებდნენ.

ფიცხელამ შეყო თავი სათაგურში, მიუახლოვდა ლებანს და ოდნავ მოავლო კბილი. სრულიად დამშვიდდა, იმედი მიეცა, რომ არავითარი უბედურება აქ არ მოელოდა და მოსწია კიდეც მაგრად ლებანი, მაგრამ უბედურებაც სწორედ ამ დროს მოხდა, სათაგური დასხლტა და ჩხაკანი გაისმა.თავზარდაცემული თაგვები გაფრთხნენ, ეგონათ, იმათაც გამოუდგებოდა სათაგური. ფიცხელამ იგრძნო თავისი შეცდომა, უმალ მობრუნდა და გაექანა კარისკენ, მაგრამ კარი უკვე მაგრა იყო დაკეტილი. ამხანაგებისკენ გადაავლო თვალი: არავინ ჩანდა.

— სად მიიმალენით თქვე უნამუსოებო, აღარ მომხედავთ? მე მტრის ხელთა ვარ, უნდა გამოგესალმოთ!

თაგვებს ესმოდათ თვითეული სიტყვა ფიცხელასი და ჩოჩქოლი შეექმნათ.

— მართლაც, რატომ ასე ლაჩრულად ვიქცევით, საუკეთესო ვაჟკაცსა ვკარგავთ.

ყველაზე წინ-წინ ცქმუნა მიცუნცულდა ფიცხელასთან ვიშვიშით.

— მოგიკვდა ჩემი თავი,-ამბობდა ცქმუნა და თან ცრემლებს იწმენდდა თვალებიდან.-აბა, რა თავი ქვას ვახალო და როგორ გიშველო! უნდა გაგეგონა, რომ გაფრთხილებდით, მეტად უჯიათი ხასიათი გაქვს, არ დაგვიჯერე, შენი თავიც დააღონე და ჩვენაც.

— ნუ გეშინიანთ, ფიქრი არ არის, როგორც იქნება გამოვალ და თუ მაინცდამაინც მოვკვდი და მტერმა გაიხაროს, მარტო შენ გეუბნები საიდუმლოს: ეზოში რომ დიდი კაკალია და გზისკენ მსხვილი ფესვი აქვს გაწვდილი, იქ ერთი ორმო თხილი მაქვს შენახული, ამოიღე და მოიხმარე.

— შე გასახარელო, მაგის დარდი მაქვს ახლა?! — უპასუხა ცქმუნამ, თუმცა ნათქვამი ესიამოვნა და კარგადაც დაიხსომა.

ამ დროს სხვა თაგვებიც მივიდნენ ჯარად და შემოერტყნენ გარს სათაგურს. ყველამ სათითაოდ მიუტირა გალიაში დამწყვდეულ თანამოძმეს უბედურება.

დიდ ვაებაში და საგონებელში ჩავარდა თაგვების გუნდი. ზოგნი ლოცულობდნენ და ღმერთს ეხვეწებოდნენ, დაეხსნა გაჭირვებიდან, სხვანი გარედან მავთულებს ღრღნიდნენ, ტყუილად თავპირს იმტვრევდნენ.

ამ დროს **ნემსა (ვთქვათ, ალეკო ელისაშვილი ან იაგო ხვიჩია)** წარსდგომოდა ფიცხელას და საყვედურებით ავსებდა:

— ჰეე, ახია შენზედა! გეგონა შეგრჩებოდა იმ დღეს რომ კაკალი მომტაცე და შეექეცი, ვერ ამოგშხამდა?.. ვენაცვალე ღმერთს, შენი ჯავრი რომ ამომყარა. გამობრძანდი რაღა, თუ კაი ბიჭი ხარ!

ცქმუნამ ვერ მოითმინა და ნემსას თავში თათი ჩაჰკრა.

— განა ისეც დაეცა ფიცხელა, რომ შენც მაგას ეუბნებოდე, განა ახლა დროა საყვედურისა? დაიკარგე აქედან,-შეუტია ცქმუნამ. ასევე მოეპყრნენ ნემსას სხვა თაგვებიც.

თაგვები ბჭობდნენ, როგორ ეშველათ ფიცხელასთვის, როგორ დაეხსნათ იგი საპყრობილიდან.

— ძმებო, ამხანაგებო! — დაიძახა ბოლოს **კუდამ (გნებავთ, აკა მინაშვილმა)** — ეს წყეული მანქანა უნდა აქედან გადავკარგოთ. შევებნეთ ყველანი შიგ, შინ ავათრიოთ და იქ დავლეწოთ, დავამსხვრიოთ, რომ ერთი ნამცეცა ნაჭერიც არსად მოიპოვებოდეს მაგისა ამ მიდამოებში, თორემ განა მარტო ამ ზარალს გვაკმარებს.

— მართალია, მართალია, ყოჩაღ, კუდავ!-დაიგრიალეს თაგვებმა. ერთად მიეხვივნენ სათაგურს: ცელქამ ჩასჭიდა კბილი, კუდზე ცელქას ფხორა მოეჭიდა, ფხორას — კუდა, კუდას-ცქმუნა, იმას — სხვა და გაიჭიმა გუთნეული. თაგვებმა ერთ გოჯზე გაათრიეს სათაგური და უფრო გამხნევდნენ.

— ნუ გეშინიან,ძმაო ფიცხელა! მოკვდეს ფხორა, თუ მტრის ხელში ჩაგაგდოს! — უთხრა იმან ფიცხელას, როცა თაგვებმა სულის მოსათქმელად შეისვენეს.

ის იყო გათენდა, როცა თაგვებმა სათაგური თავიანთ საძრომ-სათარეშო ხვრელთან მიათრიეს. რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, წრიპინებდნენ, წრუწუნებდნენ, ამხნევებდნენ ერთმანეთს, მაგრამ ვერაფერს ხდებოდნენ. ვერ მოისაზრეს, რომ სათაგური ხვრელში ვერ გაეტეოდა და მაინც თავებს აკლავდნენ.

(როგორც ჩანს, ეს ის დრო იყო, როცა პარლამენტი ამნისტიას ამუშავებდა, ევროსაბჭო კი გირაოს გადახდას სთავაზობდა ნიკანორს.)

ძია ესტატეს იმ ღამეს სტუმრები ჰყავდნენ. კარგა შეზარხოშებული იყვნენ, როცა განჯინაში ატეხილ ხმაურს მიაქციეს ყურადრება. ესტატეს მეუღლემ ეფემიამ განჯინა მარდად გააღო, სათაგური სწრაფად გადმოიღო და, აი, საკვირველება-მთელი აკიდო თაგვებისა თან გადმოჰყვა: ცელქა, ფხორა, ცქმუნა, კუდა, ეცა, ბეცა და სხვანი მრავალნი. თაგვები მაგრად ჩასჭიდებოდნენ ერთმანეთს ამხანაგის საშველად, მაგრამ რაკი შველა აღარ შეიძლებოდა, უშვეს ხელი ერთმანეთს. ზოგი აქეთ ეცა, ზოგი-იქით. ფიცხელა აღარ ინძრეოდა გაფითრებული აძგვლენდა საბრალოდ თვალებს, გადაწყვეტილი ჰქონდა თავისი ბედი. მაგრამ მფარველად ესტატე დაუდგა.

— მე, როგორც თამადა, ვათავისუფლებ მაგ თაგვს. ეგ, ალბათ, რითიმე შეესანიშნავია, რომ თავის თანამოძმეთა თანაგრძნობა მოუპოვებია. ხომ ნახეთ, როგორ ეშველებოდნენ თაგვები, უნდოდათ მაგისი გათავისუფლება. ჰოდა, უნდა გავათავისუფლოთ!

ეფემიამ ფიცხელა სათაგურიდან გაუშვა გარეთ თოვლში. ფიცხელა ფხაჭაფხუჭით გარბოდა, თოვლის ბუქს აყენებდა, როგორ უხაროდა! ახლა რას ეტყოდა თავის ამხანაგებს, რამხელა ტყუილს შეხანხლავდა.

როცა ესტატემ და მისმა სტუმრებმა გაათავეს ქეიფი, თაგვებმა სწორედ მაშინ დაიწყეს. შეიყარნენ ერთად, დაჰკრეს დოლს, დაირას, დუდუკს, ზურნას. ლეკურს თამაშობდნენ, მღეროდნენ, ფიცხელას ცაში ისროდნენ. ეს უკანასკნელი ბაიათებს ამბობდა, ამაყად გამოიცქირებოდა, გამარჯვებას დღესასწაულობდა.

ეს მოთხრობა დიდ მწერალს თითქოს დღეს დაეწეროს ნიკა მელიას ციხიდან ძალით გამოგდების კვირაძალზე. თაგვებში იოლია ნაგულისხმევი პოლიტიკოსების ამოცნობა, მით უფრო,რომ ისინი სწორედ ნიკა მელიას გარშემო აწ უკვე შემოფანტულ „გაერთიანებულ ოპოზიციაში“ არიან საძიებელნი.

ალეკო ასლანიშვილი

ვოლსკი გახარიას წინააღმდეგ

გიორგი გახარიამ კრიტიკულ მომენტში გადადგა ნაბიჯი, როდესაც რეალურად დაანონსებული იყო სახელმწიფო ინსტიტუტების არარსებობა და ამ მიმართულებას ავითარებდა ნაცმოძრაობა, — ამის შესახებ ქართული ოცნების წევრმა გიორგი ვოლსკიმ იმედის ეთერში ყოფილ პრემიერ მინისტრ გიორგი გახარიაზე საუბრისას განაცხადა.

„ვერანაირად ვერ ვიტყვი, რომ ეს რაღაც ისეთი მოხდა გაუგონარი. რამაც ძალიან დამაფიქრა, გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე მისმა გასვლამ, ის არის, რომ ამ კრიტიკულ მომენტში გადადგა ნაბიჯი, როდესაც რეალურად დაანონსებული იყო სახელმწიფო ინსტიტუტების არარსებობა და ამ მიმართულებას ავითარებდა ნაცმოძრაობა. ამ მომენტში, როდესაც პრემიერ-მინისტრი მოწოდების სიმაღლეზე უნდა იდგეს და დაანახოს ყველას, რომ ქვეყანა არსებობს, სტრუქტურები არსებობს, მაშინ გადადგა. მადლობა ღმერთს, რომ გადადგა... ცუდად მოიქცა, არ შეიძლება თქვა.. ოჯახები ინგრევა, მაგრამ არასწორად მოიქცა. კიდევ კარგი, რომ თვითონ გადაწყვიტა, რომ ჩამოშორებოდა ამ პოლიტიკურ ძალას“, — თქვა ვოლსკიმ.

საქართველოში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები რომ აშენებულიყო, საწვავის ფასი 15-20 პროცენტით ნაკლები იქნებოდა!

საქართველოში საწვავის ფასი რამდენიმე ბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურზე 3 ლარს გადასცდა. საუბარია „სუპერის“ ტიპის საწვავზე, რომელიც „ვისოლის“ სადგურებზე 3.02 ლარი ღირს, „ლუკოილის“ სადგურებზე — 3.10 ლარი. ქვეყანა მასშტაბური სიძვირის წინაშეა. საუბარია, არა მხოლოდ საწვავის, არამედ მრავალი პროდუქტისა და მომსახურების გაძვირებაზე.

მსოფლიო ბაზარზე ნედლი ნავთობის ფასი ამჟამად ერთ ბარელზე 69 დოლარს შეადგენს, ლარი კი სულ უფრო უფასურდება და, დღეის მდგომარეობით, ერთი დოლარის ღირებულება 3.42 ლარს შეადგენს. ორივე ეს კომპონენტი საწვავს მკვეთრად აძვირებს.

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მძიმეა სპეციალისტების პროგნოზი. როგორც ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარემ, **ვანო მთვრალაშვილმა** განაცხადა, ფასი კიდევ გაიზრდება.

„რა თქმა უნდა, ვითარება საკმაოდ რთულია, არაორდინალური. როგორც უკვე აღინიშნა, საწვავზე 3-ლარიანი ნიშნულის გადალახვა მოხდა, „სუპერის“ ტიპის ბენზინზე. აქვე გეტყვით, რომ მისი მოხმარება მთლიანი საწვავის სტრუქტურაში არის, დაახლოებით, 1-დან 2%-მდე. „პრემიუმის“ ფასიც, შეიძლება ითქვას, თითქმის, 3-ლარიან ნიშნულთან არის მისული — 2,90-2,95 ლარი ღირს და პრინციპში, შესაძლებელია, ამ კატეგორიის საწვავის ფასიც რაღაც დროის შემდეგ 3-ლარიან ნიშნულთან მივიდეს.

რაც შეეხება „რეგულარის“ ტიპის საწვავს, რომლის მოხმარებაც ყველაზე დიდია, მის ფასსაც ბევრი აღარც აკლია 3 ლარამდე, თუმცა ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ამ ნიშნულამდე არ მივა. ისტორიულად ეს არის ყველაზე მაღალი ფასები, რაც კი საქართველოში ყოფილა საწვავთან მიმართებით“...

კომპანია „ვისოლში“ საწვავის ღირებულების კიდევ 5-10 თეთრით ზრდას ადასტურებენ. კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის, **ვასილ ხორავას** განმარტებით, ქვეყნის შიდა ბაზარზე საწვავის ღირებულება საერთაშორისო ბაზარზე ფასების ზრდითა და ლარის გაუფასურებით არის განპირობებული.

„ნავთობის საერთაშორისო ფასების ზრდა მიმდინარე წლის დასაწყისიდან დაიწყო და მატებას აგრძელებს. შესაბამისად, ეს ჩვენს შიდა ბაზარზე აისახება. თუ ავიღებთ ინფორმაციას იმის შესახებ, რამდენით შეიცვალა საწვავის საბითუმო ფასი წლის დასაწყისიდან, ვნახავთ, რომ დღემდე ფასი 200 დოლარითაა მომატებული. ფასების ზრდის დინამიკა კი ჩვენს რეალობაში, დაახლოებით, 50 თეთრის ფარგლებში მოხდა. საწვავის ფასი საბალუტო კურსის გათვალებით, დაახლოებით, 60-65 თეთრამდე უნდა გაიზარდოს, რომ მივიღოთ დაბალანსებული ნიშნული, რომელიც კომპანიების ნორმალურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

ამიტომ საერთაშორისო ბაზარზე არსებული ფასებისა და ლარის გაცვლით კურსის გათვალისწინებით ცვლილებები კვლავ განხორციელდება. ეს დიდი ნახტომი არ იქნება. იმედს ვიტოვებთ, რომ ნიშნული, რომელიც საერთაშორისო ბაზარზეა — 1 ტონა ბენზინი 650 დოლარი - შენარჩუნდება და ამ მოცემულობაში ფასების ზრდას 5-დან 10 თეთრამდე უნდა ველოდოთ“, — აღნიშნა „ბიემთან“ საუბრისას ხორავამ.

საქართველოს მთავრობას რომ განეხორციელებინა გაცემული დაპირებები ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების მშენებლობასთან დაკავშირებით, საწვავის ფასი ადგილობრივ ბაზარზე 15-20% ნაკლები იქნებოდა — ასეთია სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრის პრეზიდენტის **პაატა ცაგარეიშვილის** მოსაზრება. მან ჩამოთვალა სამივე დაპირება, რომელიც დღეს იქნებოდა საწვავის ფასის სტაბილურობის გარანტი საქართველოში.

1. 2015 წელს დაანონსებული ფოთში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის პროექტი. მასზე ინტერესთა გამოხატვა 2014 წელს გამოცხადდა, რომელიც ითვალისწინებდა 2 მლნ ტონა ნედლი ნავთობის გადამუშავებას. პროექტის დასრულება 2018 წლისთვის იყო დაგეგმილი. პროექტის განხორციელება დაპირების დონეზე დარჩა და არც დაწყებულა.

2. 2016 წელს დაანონსებული სუფსაში ნავთობგადმამუშავებელი კომპლექსის მშენებლობა. მისი ხელმოწერის ცერემონიას და პროექტის პრეზენტაციას „ქარვასლაში“ საქართველოს პრემიერ-მინისტრიც კი დაესწრო. საწარმოს ნავთობპროდუქტების წარმადობა წელიწადში 5 მლნ ტონა უნდა ყოფილიყო, რაც სრულად უზრუნველყოფდა არა მარტო ადგილობრივ მოხმარებას, არამედ საწვავის ექსპორტს რეგიონალურ და საერთაშორისო ბაზრებზე. პროექტი არ განხორციელებულა.

3. 2016 წელს ყულევში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა, რომელიც ექსპლოატაციაში 2020 წელს უნდა შესულიყო. მშენებლობა სამ წელიწადში უნდა დასრულებულიყო და საქართველო საწვავის იმპორტიორი ქვეყნიდან ექსპორტიორი ქვეყნად გადაიქცეოდა. დაანონსებული პროექტის განხორციელება, რასაკვირველია, არ დაწყებულა!!!

„კერძო მევახშეებისგან დაზარალებულ ხალხთა რაოდენობა პანდემიის შემდეგ გაიზარდა“ — ამის შესახებ რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „კომერსანტის დილა“ მშენებლობით და იპოთეკით მევახშეებისგან დაზარალებულთა გაერთიანების დამფუძნებელმა გიგა წულეისკირმა განაცხადა. იგი იმ პრობლემებზე საუბროს რომელიც კერძო მევახშესა და მსესხებელ შორის წარმოიქმნება. წულეისკირი ყვება, რომ კანონის გვერდის ავლით გამსესხებლები თვალთმაქცურ გარიგებებს მიმართეს, რასაც სესხთან საერთო არაფერი აქვს:

„სახელმწიფო რეგულაციების დაწესებამდე თანხის გამსესხებელი მსესხებლის უძრავ ქონებას იპოთეკით ტვირთავდა, იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი ნასესხები თანხის დაფარვას ვერ შეძლებდა, ქონება აუქციონზე გადიოდა. გამსესხებელი თავის წილს იღებდა, ხოლო მსესხებელს ქონების გაყიდვიდან აღებული თანხის 70 % რჩებოდა. ახლა უკვე პირდაპირ სისხლის სამართლის დანაშაულთან გვაქვს საქმე, თუ გამსესხებელმა მსესხებელს თანხა იგივე შეთანხმებით ასესხა. რადგან სახელმწიფომ კერძო მევახშეს ფიზიკური პირის ქონების იპოთეკით დატვირთვა აუკრძალა, მევახშეებმა თვალთმაქცურ გარიგებებს მიმართეს და მსესხებელს სრულიად განსხვავებულ ხელშეკრულებებს უფორმებენ, რასაც ნასყიდობა-გამოსყიდობის ხელშეკრულება ჰქვია. ეს არის ხელშეკრულების ფორმა, რომელსაც სესხებასთან არაფერი საერთო არ აქვს. გამსესხებელს უძრავი ქონება ვითომ, დროებით აქვს გადაფორმებული და მსესხებელს აქვს გამოსყიდვის უფლება. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ხელშეკრულება გამსესხებელს ქონების გადაფორმებას უზღუდავს ვთქვათ 6 თვის ვადით, ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ეს კარგი ბერკეტია და ამიტომ ამ ხელშეკრულებას თანხმდებიან, მაგრამ მთავარი არის ის რომ, ხელშეკრულებაში სიტყვა სესხი და პროცენტი არ წერია“, — აღნიშნა გიგა წულეისკრიმა.

გიგა წულეისკირის თქმით, შეთანხმების დროს, როდესაც მსესხებელი ეკითხება გამსესხებელს, თუ რა მოხდება თანხის ვერ დაბრუნების შემთხვევაში, კერძო მევახშე მსესხებელს სიტყვიერად ჰპირდება, რომ უძრავ ქონებას მასთან ერთად გაჰყიდის და მხოლოდ მის წილს აიღებს, სხვაობას კი დაუბრუნებს.

„გვაქვს შემთხვევები, როდესაც მევახშემ პირდაპირ სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა და მსესხებელს გამოუცხადა, რომ არც კი იცნობდა და მისი უძრავი ქონება 6 თვის წინ შეიძინა, ასე წაურთმევიათ ადამიანებისთვის უძრავი ქონება. შემდეგ ამ ადამიანებმა მიმართეს სასამართლოს, სასამართლომ გადაამისამართა პოლიციასთან, პოლიციამ უთხრა, რომ ხელშეკრულების მიხედვით საკითხი გაწერილი იყო. ჩვენი შეხედულებით ეს პრობლემა პოლიციის, პროკურატურის და ფინანსური პოლიციის გამოსაძიებელია, იმიტომ რომ შეთანხმება იყო თვალთმაქცური, რაც ცალკე დანაშაულია. თუმცა სიტყვიერი შეთანხმება იყო, მოწმეები არსებობენ, არსებობს ჩანაწერი, რომელიც ამტკიცებს, რომ მსესხებელმა პროცენტი გადაიხადა. მას არ გაუყიდია უძრავი ქონება. როდესაც მევახშე პოლიციაში განაცხადებს, რომ მან პირის ქონება შეიძინა, სწორედ აქედანვე უნდა დაიწყოს გამოძიება. ჩვენ ასოციაციას მიაჩნია, რომ პროკურატურა ვალდებულია გამოძიება დაიწყოს, რადგან მოხდა ქონების უკანონოდ მითვისება“.

წულეისკირმა აღნიშნა, რომ სესხებთან დაკავშირებული პრობლემა გლობალური ხასიათისაა, რადგან როდესაც ცუდი საბანკო ისტორიის ან დაბალი შემოსავლის გამო ადამიანი სესხს ვერ იღებს, მას მიკრო საფინანსო ორგანიზაციაში უწევს წასვლა, რომელიც პირს სესხს უფრო მარტივად აძლევს, მაგრამ ნაკლებ ბერკეტს უტოვებს. როდესაც მიკრო საფინანსო ორგანიზაციაც უარს ეუბნება, მსესხებელი უკვე მევახშესთან მიდის, სადაც კაბალურ პირობებს თანხმდება.

„განვითარებულ ქვეყნებში სესხის კულტურა არსებობს, უძრავი ქონებები, ავტომობილები ადამიანებს სესხით აქვთ ნაყიდი და ცხოვრობენ. განვითარებულ ქვეყნებში იმდენად დაბალი საპროცენტო განაკვეთია, რომ ადამიანი გამოტანილი სესხით თავის საცხოვრებელ პირობებს ავითარებს და ეკონომიკურად ძლიერდება, ხოლო საქართველოში ადამიანები სესხს გადარჩენისთვის იღებენ. ჩვენ ადამიანებს უძრავი ქონების გადარჩენაში დავეხმარებით, მიუხედავად იმისა, რომ მათ გაფორმებული აქვთ ნასყიდობა — გამოსყიდვის ხელშეკრულება, სასესხო ხელშეკრულების ნაცვლად, ეს გამსესხებელს არ აძლევს იმის უფლებას, რომ 100 000 ლარიანი ქონება 10 000 ლარად ჩაიგდოს ხელში. მევახშეები ადამიანს სასამართლოსკენ ამისამართებენ, სასამართლოთი დავა მომგებიანი არაა, რადგან ნაკლები ბერკეტებით სავსე ხელშეკრულება აქვთ. მთავარია ადამიანებმა პოლიციას და პროკურატურას მიმართონ“, — აღნიშნა გიგა წულეისკირმა.

თაკო კვაჭანტირაძე

საქართველო კოვიდ-პასპორტს ქმნის!

ქართული კოვიდპასპორტი იქნება ციფრული მტკიცებულება იმისა, რომ ადამიანი აცრილია კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით, აქვს კოვიდტესტის ნეგატიური პასუხი ან გადატანილი აქვს დაავადება.

უფრო ზუსტად, როგორი იქნება ქართული „მწვანე სერტიფიკატი“ და როდის იქნება ის ხელმისაწვდომი? რადიო თავისუფლებამ ინფორმაცია დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორის მოადგილესთან ალექსანდრე ტურძილაძესთან ინტერვიუს საფუძველზე მოიპოვა

— როგორ მიიღებენ მოქალაქეები პასპორტს?

— კოვიდსტატუსის შესახებ მოქალაქეები ინფორმაციას მობილური აპლიკაციით წარმოადგენენ. მისი ჩამოტვირთვა შესაძლებელი იქნება უფასოდ Google Play-დან და App Store-იდან.

ასევე, შესაძლოა, შემოიღონ ბეჭდური დოკუმენტი QR კოდით.

— როგორ იმუშავებს აპლიკაცია?

— აპლიკაციის გასააქტიურებლად მომხმარებელმა უნდა შეიყვანოს მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია — მაგალითად, პირადი ნომერი — და ვაქცინაციის დაჯავშნის დროს მიღებული სპეციალური კოდი. შესაძლოა, საჭირო გახდეს აპლიკაციისთვის დამატებითი ინფორმაციაც, თუმცა ეს დაზუსტებული არ არის.

აპლიკაციაში შეინახება მოქალაქის პერსონალური ინფორმაცია — სახელი, დაბადების თარიღი, ინფორმაცია იმის შესახებ, გაკეთებული აქვს თუ არა კოვიდვაქცინა და რომელი, გადატანილი აქვს თუ არა კორონავირუსი, PCR ტესტის პასუხი.

აპლიკაციას, ასევე, წვდომა ექნება გეგმური იმუნიზაციის მონაცემებთან.

შესაძლოა, აპლიკაციითვე გახდეს შესაძლებელი ვაქცინაციის დაჯავშნა.

სხვა სამედიცინო ისტორიაზე აპლიკაციას წვდომა თავიდან არ ექნება.

— როგორ იქნება დაცული ჯანმრთელობის შესახებ სენსიტიური ინფორმაცია?

— ალექსანდრე ტურძილაძის განმარტებით, დაავადებათა კონტროლის ცენტრი ახლა მუშაობს ჯანდაცვის სამინისტროსა და მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან, რათა, ერთი მხრივ, დაცული იყოს კონფიდენციალობა, მეორე მხრივ, არ გაყალბდეს მონაცემები.

ევროკომისიის მითითებით, „მწვანე სერტიფიკატი“ მხოლოდ აუცილებელ, ლიმიტირებულ მონაცემებს უნდა შეიცავდეს და შემოწმდება მხოლოდ დოკუმენტის ნამდვილობა. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემები კი მხოლოდ დოკუმენტის გამცემ სახელმწიფოში რჩება.

— რაში გამოგვადგება „მწვანე სერტიფიკატი“?

— საქართველოს შიგნით და საზღვარგარეთ მოგზაურობისთვის, თუმცა დეტალებს ისევ განიხილავენ.

საქართველოში მოქმედი შეზღუდვებიდან გამომდინარე, პრივილეგია, რომელიც კოვიდპასპორტის მქონე მოქალაქეს შეიძლება ჰქონდეს, არის ე.წ. კომენდანტის საათის დროს გადაადგილების უფლება.

— შეძლებს თუ არა საქართველოს მოქალაქე ევროკავშირში მოგზაურობას?

— ამისთვის საჭიროა კარგი ეპიდსიტუაცია. ამ ეტაპზე, მხოლოდ ავსტრალია, ახალი ზელანდია, რუანდა, სინგაპური, სამხრეთი კორეა და ტაილანდი არიან მწვანე სიაში და მხოლოდ მათ მოქალაქეებს შეუძლიათ არააუცილებელი მოგზაურობა ევროკავშირში.

— აქვს თუ არა მნიშვნელობა, რომელი ვაქცინითაა აცრილი ადამიანი?

— ევროკავშირის ქვეყნებს შეეძლებათ მიიღონ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც აცრილები არიან ევროკავშირის მიერ ავტორიზებული ვაქცინებით.

საქართველოში ხელმისაწვდომი ვაქცინებიდან ჯერჯერობით ევროპული სამედიცინო სააგენტოს ავტორიზაცია არა აქვს ჩინურ Sinopharm-ს.

— რა ვუყოთ ბავშვებს?

— ევროკომისიის ინიციატივით, ბავშვებს — რომლებიც ვაქცინაციაში არ არიან ჩართულნი — უნდა ჰქონდეთ ვაქცინირებულ მშობლებთან ერთად მოგზაურობის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ აქვთ PCR ტესტი უარყოფითი პასუხით.

ჯერჯერობით უცნობია, რა მიდგომა იქნება საქართველოში ბავშვებთან მიმართებით.

— როდიდან გვექნება კოვიდპასპორტი?

— საქართველოს ხელისუფლება აპირებს, რომ ივნისის ბოლომდე გაასაჯაროოს დეტალები, როდის იხილავს საზოგადოება „მწვანე სერტიფიკატებს“.

რამდენიმე ევროპულმა ქვეყანამ უკვე გაასაჯაროვა საკუთარი პასპორტების სისტემები. მაგალითად, დანიაში „კორონაპასის“ აპლიკაცია საშუალებას აძლევს ვაქცინირებულ მოქალაქეებს, შევიდნენ ბარებში, რესტორნებსა და მუზეუმებში.

მსგავსი სქემა მუშაობს ისრაელში, რომელიც ვაქცინირებულთა რიცხვით ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა მსოფლიოში. მოქალაქეებს უფლება ეძლევათ, შევიდნენ სასტუმროებში, სავარჯიშო დარბაზებსა და თეატრებში. „მწვანე საშვმა“ ასევე შექმნა მოგზაურობის შესაძლებლობა ისრაელის მოქალაქეებისთვის, საბერძნეთსა და კვიპროსთან მიღწეული შეთანხმების შემდეგ.

რამდენი ადამიანი აიცრა საქართველოში

Stopcov-ზე გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, ბოლო 24 საათის განმავლობაში საქართველოში კორონავირუსის საწინააღმდეგო აცრა 3 130- მა ადამიანმა გაიკეთა. სულ ქვეყანაში ვაქცინაცია 88 522-მა მოქალაქემ გაიარა.

ამ დროისთვის საქართველოში კორონავირუსის 330 375 შემთხვევაა დადასტურებული. მათ შორის გამოჯანმრთელდა 308 821, გარდაიცვალა 4 442 პაციენტი.

რეპროდუქციაზე არ მოქმედებსო!!!

არავითარი მინიშნება, რომ ვაქცინას რეპროდუქციულ ფუნქციაზე გავლენის ქონა შეუძლია არ არსებობს, — ამის შესახებ ბიძინა კულუმბეგოვმა „დილის შოუში“ განაცხადა. იმუნოლოგ-ალერგოლოგის თქმით, ასეთი კითხვა პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის მიმართაც არ ისმის, ეს ვირუსი კი საშვილოსნოს ყელის კიბოს იწვევს.

„ამიტომ, არავითარი თეორიული შანსი, რომ რეპროდუქციაზე იმოქმედოს კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინამ, არ არსებობს. მაგრამ აუცილებლად უნდა განვუმარტოთ მოსახლეობას, განსაკუთრებით სკეპტიკურად განწყობილ ადამიანებს, რომ კორონავირუსი თავისთავად უზარმაზარი რისკია ნებისმიერი ასეთი სიტუაციის დროს, განსაკუთრებით ორსულობის დროს. ამიტომ, თუ ადამიანები ორსულობას გეგმავენ, იმისთვის რომ პროცესი უსაფრთხოდ წავიდეს, ბოლომდე მივიდეს და დაგვირგვინდეს ახალშობილი მოვლენით ქვეყანაზე, ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ასეთმა ადამიანებმა წინასწარი პრევენცია გაიკეთონ“, — განაცხადა კულუმბეგოვმა.

ყველზე სახიფათო ინდური შტამიაო!

თბილისის ინფექციური საავადმყოფოს ეპიდემიოლოგი ოთარ ჩოკოშვილი აცხადებს, რომ საქართველოში ამჟამად კორონავირუსის გავრცელების მესამე ტალღის პიკია, ამიტომ მაქსიმალური სიფრთხილის გამოჩენა და რეკომენდაციების დაცვაა საჭირო.

„უნდა დავიცვათ ყველა ის ღონისძიება, რაც ინფექციის პრევენციისთვის არის მოწოდებული. ასევე, უნდა მივმართოთ ვაქცინაციას, რომელიც ერთ-ერთი მთავარი გზაა დაავადების დასამარცხებლად“, — განაცხადა ოთარ ჩოკოშვილმა.

„ეს ნიშნავს, რომ მას უფრო მაღალი პოტენციალი აქვს იმუნიტეტს გარკვეულწილად გვერდი შემოუაროს და შედარებით მძიმე დაავადება გამოიწვიოს. საბედნიეროდ, ამჟამად საქართველოში დაავადების ეს შტამი არ გვაქვს და იმედი ვიქონიოთ, ამ შტამის გავრცელება არ მოხდება“, — აღნიშნა ოთარ ჩოკოშვილმა.

ვაქცინის ნაწილს გვჩუქნიან, ნაწილს ვყიდულობთ

„გიდასტურებთ, რომ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრს ჰქონდა შეხვედრა წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციასთან. წითელი ჯვრიდან მყარი დაპირება არის, რომ საქართველო მათი საშუალებით, დონაციის სახით და არა შესყიდვით, მიიღებს 100 000 დოზა „სინოფარმის“ ვაქცინას. თუმცა თარიღი არ არის ჯერ დაზუსტებული, როდის იქნება მოწოდება.

რაც შეეხება დანარჩენ 500 000 დოზას, ასევე გიდასტურებთ, რომ დიახ, საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით, მიმდინარეობს მოლაპარაკება „სინოფარმის“ ხელმძღვანელობასთან პეკინში ჩვენი საელჩოს საშუალებით და მიღწეულია შეთანხმება, რომ 500 000 დოზას საქართველო იყიდის „სინოფარმისგან“. ვაქცინა ქვეყანაში ივნისის მეორე ნახევარში შემოვა“, — განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

კორონავირუსის ფილოსოფია ინდურად

ინდოელმა პოლიტიკოსმა, უტარაკჰანდის შტატის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ტრივენდრა სინგჰ რავატმა განაცხადა, რომ კორონავირუსსაც აქვს არსებობის უფლება.

მისი განცხადებით, ფილოსოფიური თვალსაზრისით, ვირუსი SARS-CoV-2 ისეთივე ცოცხალი ორგანიზმია, როგორც ადამიანი, და მასაც სურს ცხოვრება.

„ადამიანები თავს ყველაზე ჭკვიანებად თვლიან და კორონავირუსის განადგურებას ცდილობენ, ამიტომაც ის მუდმივად მუტაციას განიცდის. ამ დაავადებასთან საბრძოლველად კაცობრიობამ კორონავირუსის ქცევის წინასწარმეტყველება უნდა ისწავლოს“, — აცხადებს ინდოელი პოლიტიკოსი.

„სილნაღში დეგნანის ვიზიტმა დაგვანახა, რამდენი უვიცი და უბადრუკი გვყავს პოლიტიკასა თუ არასამთავრობო სექტორში“

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, კელი დეგნანის სილნაღში ვიზიტის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს ანალიტიკოსი გია აბაშიძე ფეისბუქზე ეხმიანება და წერს:

„აშშ-ის საელჩოს მიერ გავრცელებულმა ფოტოებმა, რომ ელჩმა კელი დეგნანმა სილნაღში, ბოდბის მონასტერში, წმინდა ნინოს საფლავი მოინახულა და შეხვდა მეუფე იაკობს, იღუმენია თეოდორასა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სხვა ლიდერებს, კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ რა უბადრუკი, უვიცი ფსევდო-ლიბერალები და ფსევდო-ტოლერანტები გვყავს პოლიტიკაში, არასამთავრობო სექტორში.

ნებისმიერი ადამიანის არჩევანია იყოს ამა თუ იმ რელიგიური კონფესიის წევრი თუ ათეისტი. მაგრამ საჯაროდ ნებისმიერი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა მიუღებელია! განსაკუთრებით იმ სუბიექტებისგან, რომლებიც „ქადაგებენ“ შემწყნარებლობასა და განსხვავებულის პატივისცემას.

არც შერჩევითი ტოლერანტობაა მისაღები. ეს ზოგიერთი ცნობილი ფსევდო-მოქალაქე თავმომწონე ფოტოსესიებს აწყობს ევანგელურ-ბაპტისტურ ეკლესიაში, მეჩეთში, სინაგოგაში თუ სხვაგან, მაგრამ შეურაცხყოფას აყენებს მართლმადიდებელ ეკლესიას.

ამ უწიგნური ქაჯების „არგუმენტია“, რომ მართლმადიდებელ ეკლესიაში „ბნელები და ავაზაკები“ არიან. დიახ, ერში და ბერში, ნებისმიერ რელიგიაში ოდითგანვე სირთულეებია, გვყავს უამრავი პრობლემური ოჯახი, საზოგადოებაში არიან უღირსი მშობლები, ნათესავები, ახლობლები.

რა, ზურგი შევაქციოთ ოჯახის ინსტიტუტს, დავგმოთ? თუ, მაგალითად, საჯაროდ დავცინოთ პრობლემურ ბიძაშვილებს?..

მე, ჩვენ, თქვენ, საზოგადოების უდიდეს ნაწილს, ტოლერანტობა, შემწყნარებლობა, მიმტევებლობა, სულგრძელობა, ლიბერალობა ასე გვესმის: მოექეცი სხვებს, განსხვავებულებსაც ისე, როგორც გსურს რომ მოგექცნენ შენ!

ფსევდოებზე კი ზედგამოჭრილია აკაკი წერეთლის „ღამურა“:

...„გადაგვარების მოსურნე
ბუნებისაგან კრულია!
მისი პირადი ღირსება
ყოველგან დაჩაგრულია!
ძველ ტომში გამოსხლეტილსა
არ მოუშლიან კბენასა
და ახალ ტომშიც გაჰკიცხვენ:
დაუწუნებენ ფრენასა!
კრულია მისი ხსენება,
ვინც დაჰგმობს დედა-ენასა,
თვის ტომს ჰღალატობს და მითი
თვით ჰფიქრობს მაღლა ფრენასა!“...

გურამ ქაშაკაშვილის კიდევ ერთი სამოქალაქო გმირობა...

(პირველი გვერდიდან)

– ბატონო რევაზ, საუბარში ინტერვიუმდეც აღნიშნეთ ამ ორტომეულის ისტორიული მნიშვნელობა, იქნებ ეს აზრი უფრო განვავრცოთ. იქნებ ცოტა წარსულისკენაც გაგვეხედა.

– სამთო-მეტალურგიული ენციკლოპედიის გამოცემას წინ უძღოდა 2003-2014 წლებში გურამ ქაშაკაშვილის ავტორობით და მთავარი რედაქტორობით, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელით ფუნდამენტური ექვსენოვანი (ქართულ-რუსულ-უკრაინულ-ინგლისურ-გერმანულ-ფრანგულ ენებზე შედგენილი) 2000-გვერდიანი 100 ათასი მეტალურგიული ტერმინით ორტომეულების გამოცემები. აღნიშნულ ორტომეულებს, როგორც სერიოზულ მეცნიერულ ნაშრომებს ფასდაუდებელ ფუნდამენტურობას და ღირებულებას ანიჭებს ის ფაქტი, რომ მათ შედგენა-რედაქტირებაში მონაწილეობა აქვს მიღებული სამი ქვეყნის უმაღლესი რეიტინგის მეცნიერებს, ხოლო ლექსიკონებისა და ენციკლოპედიის შესავლებს, სამთო-მეტალურგიული დარგის მამების – ნიკოლოზ ქაშაკაშვილის, გიორგი ნიკოლაძის და გრიგოლ წულუკიძის – დიდ მამულიშვილურ მოღვაწეობას აფასებენ სამი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიების პრეზიდენტები თამაზ გამყრელიძე, გიორგი კვესიტაძე, ოლეგ კუზნეცოვი და ბორის პატონი. ლექსიკოლოგიის ძირძველ ისტორიას მსგავსი გამოცემები არ მოეპოვება.

„სამთო-მეტალურგიული ენციკლოპედიის“ ორტომეულში მენდელეევის სისტემის ყველა ლითონის საბადოს, მოპოვების, გადამუშავების, გამდიდრების, გამოყენების გარდა, წარმოდგენილია, მეტალურგიის დარგთან ერთად, ქიმიური, ნახშირების მრეწველობის, მანქანათმშენებლობის, ჩარხმშენებლობის, ჰიდრო და თბოენერგეტიკის, აგრეთვე სხვა დარგების განვითარება.

ენციკლოპედიაში მოცემულია ისტორიული მასალები შავი მეტალურგიის დიდ მნიშვნელობაზე საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებაში. რკინის წარმოება ჩვენს პლანეტაზე; ხეთურ-სუბარულ ტომებს გარდა, ხალიბთა ტომებს უკავშირდება. ქართველები ხალიბების შთამომავლები ვართ და ჩვენი მეფეები დიდ ყურადღებას აქცევდნენ მეტალურგიას და ცივილიზაციის ყველა დროს გვქონდა რკინის, ფოლადის იარაღების წარმოების საერთაშორისო – პრესტიჟული დონე, რითაც საქართველოს სახელმწიფომ შეინარჩუნა არსებობა – **„ მამული, ენა, სარწმუნოება“.**

საქართველოში ფერადი მეტალურგიის განვითარებისთვის მეფე ერეკლე II-მ საბერძნეთიდან გადმოასახლა 800 სპეციალისტი ოჯახებით ალავერდის ფერადი ლითონების ქარხნის დაარსებისთვის (დღეს სომხეთის რესპუბლიკისაა), ახტალის ძვირფასი ლითონების საწარმო, ასევე შავი მეტალურგიის – ფოლადის წარმოება იარაღისთვის ბორჩალოში, ბოლნისში, სოფელ ფოლადაურში მეფე ერეკლე II-ს სახელთანაა დაკავშირებული. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდის გარდა, ფერადი, ძვირფასი ლითონების და შავი ლითონების ნაწარმის ექსპორტსაც ახორციელებდა ქართლ-კახეთის სამეფო.

საქართველოში მანგანუმის მადნის საბადო აღმოაჩინა გამოჩენილმა ქართველმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ აკაკი წერეთელმა, რომელმაც პირველმა წაიღო სანკტ-პეტერბურგში ჭიათურის „შავი ქვის“ ნიმუში და დაადგენინა მისი ქიმიური შედგენილობა. ამ მადნის საწარმოო გადამუშავება დაიწყო ამერიკულმა კომპანიამ „ჰარიმანმა“, რომელიც მადნის ტრანსპორტირებას ვიწროლიანდაგიანი რკინიგზით ახდენდა შორაპნამდე, სადაც ხდებოდა მისი გადატვირთვა რკინიგზის ოთხღერძიან ვაგონებში და მანგანუმის მადნების ექსპორტი ხორციელდებოდა სხვადასხვა ქვეყანაში.

– ერთი საგაზეთო წერილი კი არა, ალბათ, კარგა მოზრდილი წიგნი დაიწერება ჩვენში სამთო-მეტალურგიის განვითარების საქმეში გურამ ქაშაკაშვილის მიერ გაწეულ შრომაზე, უფრო სწორად, რუდუნებაზე, ანუ, როგორც საბა იტყოდა, გარჯილ შრომაზე. ამიტომაც, ცხადია, ბევრი რამ უთქმელი დაგვრჩება, მაგრამ ცოტა რამ გამოვლილ გზაზეც აუცილებლად უნდა ითქვას. საერთოდ კი ნიკოლაძეების და ქაშაკაშვილების გვარმა დიდი ამაგი დასდეს საქართველოში სამთო-მეტალურგიას. ჩემზე ბევრად უკეთ ეს თქვენ მოგეხსენებათ.

როგორც ცნობილია, ორივე გვარი ფრიად წარმოჩინებული იყო და არის ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც უთუოდ შესაბამისად ასახულია ენციკლოპედიაში. რას იტყოდით ამის თაობაზე?

ალბათ, აქ იმის თქმაც საჭიროა, რა მხარდაჭერა ჰქონდათ, კერძოდ, ნიკოლოზ ქაშაკაშვილს და საერთოდ საქართველოს, ამ დიდი საქმის განხორციელებაში იმ ქართველთაგან, დედამიწის ერთ მეექვსედს რომ უდგნენ სათავეში, ლაპარაკი მაქვს იოსებ სტალინსა და ლავრენტი ბერიაზე, რომელთაც, როგორც ისტორიული საბუთები მოწმობენ, ერთი თვალი ყოველთვის თავიანთი სამშობლოსკენ ეჭირათ, რის დანახვაც ბევრ ურწმუნო თომას არ უნდა.

– საქართველოში ინდუსტრიალიზაციის პირველი ნაბიჯები გადაიდგა საბჭოთა კავშირის პირველი ხუთწლედის პროგრამის განხორციელებით (რომელიც „ურალმეტის“ ტექნიკურმა დირექტორმა ნიკოლოზ ქაშაკაშვილმა შეიმუშავა), ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის და იმ დროს ყველაზე მძლავრი რიონჰესის მშენებლობით, რაც აშენდა ნიკო და გიორგი ნიკოლაძეების ძალისხმევით ამოქმედებულ დიდუბის საცდელ ელექტროთერმულ ღუმელში სამეცნიერო-საწარმოო ექსპერიმენტული დნობების შედეგების საფუძველზე.

საქართველოში თანამედროვე მეტალურგიული დარგის განვითარება უკავშირდება საბჭოთა კავშირის ყველაზე დიდი განსაცდელის დროს – მეორე მსოფლიო ომს, როდესაც ყოფნა-არყოფნის ჟამს ფიქრობდა რა თავის სამშობლოზე, მსოფლიო ომის დაწყებამდე (მეტალურგიული ქარხნები მხოლოდ რუსეთსა და უკრაინას ჰქონდა) იოსებ სტალინმა ციმბირის, ურალის, უკრაინის, მეტალურგიული გიგანტების აღმშენებელ ნიკოლოზ ქაშაკაშვილს ბაქოს მენავთობეების მილებით უზრუნველსაყოფად თბილისში დააწყებინა **ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის** (იოსებ სტალინის შერქმეულია) მშენებლობა, სადაც ომის დაწყებისთანავე ტექნიკურ პერსონალთან ერთად ევაკუირებულ იქნა ტაგანროგის ავიაგამანადგურებლების ქარხანა, დაარსდა ქარხანა „თბილავიამშენი“.

1942 წ. იოსებ სტალინის უშუალო დავალებით, კანდიდ ჩარკვიანისა და მთავრობის ხელშეწყობით „სხვანი რომ არ დაპატრონებოდნენ ქართულ მიწას“, ნიკოლოზ ქაშაკაშვილი შეუდგა ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობისთვის გრუნტის შესწავლას, მასში წყლის დონის განსაზღვრას, ქარხნის ტექნიკური და სასმელი წყლით უზრუნველყოფის საკითხების მოგვარებას, გაბატონებული ქარის ვექტორის მიმართულების დადგენას...

1943 წ. ნიკოლოზ ქაშაკაშვილის თაოსნობით თბილისში დაარსდა ცენტრალური საპროექტო ინსტიტუტის „გიპრომეზის“ ფილიალი, რომელიც 1944 წელს „გრუზგიპრომეზის“ სახელწოდებით შეუდგა რუსთავში ქარხნისა და ქალაქის დაპროექტებას. მდინარე მტკვარზე დპროექტდა და აიგო დროებითი პონტონების ხიდი, ტექნიკური წყლის მომარაგებისთვის გადაწყდა მტკვარზე კაშხლის პროექტირება.

1944 წელს, მეორე მსოფლიო ომის მრისხანე ჟამს, იოსებ სტალინის დავალებით ნიკოლოზ ქაშაკაშვილმა თავდაცვის კომიტეტს მოუმზადა რუსთავის ტერიტორიაზე ქარხნის მშენებლობის გაგრძელების დადგენილების პროექტი, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, 1926 წელს დაბადებული ქართველი ეროვნების 5000 წვევამდელი სამხედრო მობილიზაციით, ფრონტის ნაცვლად გერმანელების დანგრეული მეტალურგიული ქარხნების აღსადგენად და მეტალურგის პროფესიის შესასწავლად უნდა გაგზავნილიყო სსრ კავშირის სხვადასხვა მეტალურგიულ საწარმოში. ეს წინადადება თავდაცვის კომიტეტის სხდომაზე შეიტანა მიხეილ კალინინმა. იოსებ სტალინის განცხადებას, – მიუხედავად იმისა, რომ გერმანელები ჯერ კიდევ საბჭოთა ქვეყნის მიწა-წყალზე არიან, ჩვენ ვიწყებთ ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობას ახალ მოედანზე, რკინიგზის სადგურ „რუსთავის“ ტერიტორიაზეო, – თავდაცვის კომიტეტის წევრები მქუხარე ტაშით შეხვდნენ. ფრონტზე 300 ათასი ქართველის დაღუპვის შემდეგ გადარჩა ჩვენი ქვეყნის 1926 წელს დაბადებული გენოფონდი, ვინც გმირული შრომით აღადგინა ომისგან დანგრეული უკრაინისა და რუსეთის მეტალურგიული ქარხნები, შეისწავლა მეტალურგიისთვის საჭირო არაერთი პროფესია, ორი წლის შემდეგ დაბრუნდა ქალაქ რუსთავში და მართლაც გმირული შრომით მონაწილეობა მიიღო ქარხნისა და ქალაქ რუსთავის მშენებლობაში.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სრულმა მეტალურგიულმა ციკლმა, რომლის ავტორია პროფესორი ნიკოლოზ ქაშაკაშვილი, მეტალურგიულ დარგთან ერთად განავითარა ქიმიური, ნახშირების მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ავტომობილმშენებლობა, თბოენერგეტიკა – საქართველოს ინდუსტრიალიზაციით რუსთავში, ტყვარჩელში, ტყიბულში, ქუთაისში, ახალციხეში, სხვადასხვა რაიონსა და თბილისში ქარხნებთან ერთად აშენდა კულტურის, ხელოვნების სასახლეები, სამედიცინო დაწესებულებები, საშუალო, სპეციალური სასწავლებლები, უმაღლესი განათლების, სასწავლო კვლევითი და დარგობრივი ინსტიტუტები, სპორტული დარბაზები...

ყველაფერი ეს ააშენა „ამიერკავკასმეტალურგმშენის“ ტრესტმა ლეგენდარული მმართველის ნესტორ გიორგაძის ხელმძღვანელობით.

ნიკოლოზ ქაშაკაშვილმა საქართველოში მეტალურგიისა და სხვა დარგების განვითარებაში ჩადო ის მდიდარი გამოცდილება, რაც შეიძინა ციმბირის, ურალის, უკრაინის მეტალურგიული გიგანტების მშენებლობაში და საზღვარგარეთ შვედეთში, ჩეხეთ-სლოვაკეთში, ბელგიასა და გერმანიაში კრუპისა და მანესმანის ფირმებში მოღვაწეობისას, როდესაც იგი ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა დარგის სპეციალისტების გრძელვადიან სტაჟირებას. ამის დასტურია ჯავაჰარლალ ნერუს სტუმრობა 1955 წელს საბჭოთა კავშირში მეტალურგიული ქარხნის შეძენის მიზნით. მაღალი რანგის ექსპერტებმა ნახეს რუსეთის, უკრაინის მეტალურგიული ქარხნები, მაგრამ კონტრაქტი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ანალოგზე გააფორმეს, როგორც ყველაზე პროგრესული ტექნიკით და ტექნოლოგიებით აღჭურვილი და საბჭოთა კავშირს მოუწია ინდოეთში, ბჰილაიში – რუსთავის მსგავსი ქარხნის აშენება.

იოსებ სტალინის გადაწყვეტილებას ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაზე საქართველოს მთავრობაში ჰყავდნენ ოპონენტები.

ტყიბულ-ტყვარჩელის კოქსვადი ნახშირებით სრული მეტალურგიული ციკლის უზრუნველსაყოფად თავდაცვის კომიტეტის განკარგულების ერთ-ერთი პუნქტით ნახშირების მრეწველობის სახალხო კომისარ ვახრუშევს, იოსებ სტალინის ხელმოწერით, 1943 წ. დაევალა სასწრაფოდ დაედგინა კოქსვადი ნახშირების მარაგები, დაეწყო შახტების პროექტირება-მშენებლობა, რომ მსოფლიოში პირველი მილსაგლინავი სრული მეტალურგიული ციკლის ქარხნის ამოქმედებისას კოქსქიმიური საამქრო კოქსვადი ნახშირებით ყოფილიყო უზრუნველყოფილი. მიუხედავად იმისა, რომ კომისარი ვახრუშევი საქართველოში შახტების მშენებლობის კატეგორიული წინააღმდეგი იყო, ბელადის დავალებით მას მოუწია არა მარტო შახტების, არამედ წყალტუბოში სანატორიუმ „მეშახტის“ აშენებაც.

აი, კიდევ ერთი ისტორიული ფაქტი.

1946 წ. თბილისში, უმაღლეს საბჭოში ამომრჩევლებთან შესახვედრად, ჩამოვიდა ლავრენტი ბერია. იგი ღონისძიების შემდეგ გაემგზავრა რუსთავში, მოინახულა ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა, შეხვდა მშენებლებს, გადაწყვიტა მათი დასმული საკითხები და, ბოლოს ნიკოლოზ ქაშაკაშვილისგან შეიტყო, რომ ბელადის დავალებით მილსაგლინავი ქარხნის მშენებლობა ბაქოს მენავთობეების უზრუნველსაყოფად ქარხნის მშენებლობის პირველი ეტაპი ხორციელდებოდა. იმის გამო, რომ საქართველო აგრარული ქვეყანაა, ქიმიური სასუქების ქარხნის აშენების მიზნით ნიკოლოზ ქაშაკაშვილმა ტყიბულ-ტყვარჩელის ნახშირების და დაშქესანის რკინის მადნების ბაზაზე შეიმუშავა მსოფლიოში პირველი სრული მეტალურგიული ციკლის მილსაგლინავი ქარხნის ტექნოლოგია, რათა კოქსქიმიური საამქროს ნარჩენი კოქსის აირის ბაზაზე აშენებულიყო აზოტსასუქების, ქიმიური ბოჭკოს, ხოლო ბრძმედის წიდების გადასამუშავებლად ცემენტის, საშენ მასალათა და სხვა ქარხნები.

ლავრენტი ბერია სწრაფად ჩახვდა ნიკოლოზ ქაშაკაშვილის ჩანაფიქრს, მოიწონა, მოინიშნა და მოსკოვში ჩასვლის შემდეგ საბჭოთა კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრმა ივანე თევოსიანმა და საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ვოზნესენსკიმ ხელი მოაწერეს 1946 წლის ბოლოს ამიერკავკასიის სრული მეტალურგიული ციკლის ქარხნის პროექტს და ქალაქ რუსთავში მრავალსართულიანი კაპიტალური სახლების მშენებლობის ნებართვას, რასაც ქარხნებთან ერთად 10 მილიარდ მანეთზე მეტი დასჭირდა.

არის ერთი ასეთი მაგალითიც.

ფაშისტურმა გერმანიამ 1941 წელს ერთ თვეში აიღო უკრაინა. ქალაქ ზაპოროჟიეს აღების შემდეგ გერინგმა ჰიტლერს მოახსენა: „ჩემო ფიურერო, მომილოცავს საბჭოთა კავშირზე გამარჯვება, რადგან დღეს ჩვენმა ჯარებმა აიღეს ქალაქი ზაპოროჟიე და ზაპოროჟიეს მანგანუმის შენადნობების ქარხანა ჩვენს ხელთაა. ეს ქარხანა საბჭოთა კავშირს ამარაგებს მანგანუმის შენადნობებით, საჯავშნე ფოლადების გამოსადნობად და ურალში ტანკების ასაწყობად. დარჩა კიდევ ერთი წყარო. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რომელსაც ჩვენ დავბომბავთ, გავანადგურებთ და ამით შეწყდება საჯავშნე ფოლადებისა და ტანკების წარმოება რუსეთში“. ამის შემდეგ გერმანიის შეიარაღებული ძალები მოაწყდა კავკასიას, რომელსაც ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით იცავდნენ საბჭოთა ჯარის ნაწილები და ქართული დივიზია. გერმანელებმა ვერ შეძლეს ზესტაფონის ქარხნის განადგურება.

„სამთო-მეტალურგიული ენციკლოპედიის“ ორტომეულის გამოცემის გამო

ნიკოლოზ ქაშაკაშვილი

გიორგი ნიკოლაძე


გრიგოლ წულუკიძე

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა, დირექტორის ივანე კეკელიძის ხელმძღვანელობით, თავდადებული შრომით შეძლო მეორე მსოფლიო ომის უმძიმეს წლებში ქვეყნის თავდაცვის ამოცანის გადაწყვეტა, რის გამოც 2-ჯერ გახდა სტალინური პრემიის ლაურეატი.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მშენებლობა-გადაიარაღებაშ, ახალი სიმძლავრეების მშენებლობა-ამოქმედებაში, ხალხის და ბუნების მომწამლავი გამონაბოლქვების აღკვეთაში ქარხნის ახლად დანიშნულ დირექტორს გურამ ქაშაკაშვილს გვერდში ედგა მშენებლობის სამინისტრო.

ღვთის წყალობით, დღესაც ცოცხალია და მხნედ არის იმჟამინდელი მშენებლობის მინისტრი, საუკუნეს მიახლოებული **ნოდარ მეძმარიაშვილი,** რომელიც თავად არის მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის უტყუარი ენციკლოპედია.

საქართველოს მშენებლობის სამინისტრო, – თქვა ჩვენთან საუბარში ბატონმა ნოდარმა, – **შეიქმნა ნიკოლოზ ქაშაკაშვილის თაოსნობით – ურალის, უკრაინის მეტალურგიული ქარხნების მშენებლობაში გამოცდილი სპეციალისტებით დაკომპლექტებული ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობისთვის დაფუძნებული ტრესტ „ამიერკავკასმეტალურგმშენის“ მძლავრი სამშენებლო ორგანიზაციების გაზაზე. აღსანიშნავია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გენერალური დირექტორის გურამ ქაშაკაშვილის თაოსნობა ელექტროფოლადსადნობი საამქროს მშენებლობისას სამინისტროს სახლმშენებელი კომბინატის, სამშენებლო სამმართველოების ახალი სიმძლავრეების ამოქმედებაში, რითაც მშენებლობის სამინისტრო უფრო მძლავრი სამშენებლო ორგანიზაცია გახდა.**

– ამ დიდ მშენებლობებს, ბუნებრივია, თან ახლდა ეკოლოგიური პრობლემები. ერთი, თუნდაც დიდი საქმე, რომ კეთდება, არ უნდა გაფუჭდეს მეორე, იქნებ მეტი თუ არა, არანაკლები მნიშვნელობის საქმე, კერძოდ, ჩვენი ეკოლოგია. ალბათ, ამ ამბავსაც ყურადღება აქვს მიქცეული ენციკლოპედიაში.

– ამ თვალსაზრისით მხოლოდ ერთ ეპიზოდს მოვიშველიებ, 1979 წლის ზაფხულში, – როგორც ნოდარ მეძმარიაშვილი იგონებს, – აფხაზეთში ისვენებდა საბჭოთა ქვეყნის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსი კოსიგინი. შაბათკვირას სტუმარს გადაუწყვეტია, სამთო-მეტალურგიული დარგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, სტრატეგიული ობიექტის – ჭიათურის მანგანუმის სამთამადნო კომბინატის დათვალიერება.

უკან დაბრუნებისას სტუმარმა, რომლის მანქანაში ედუარდ შევარდნაძე და მე, მშენებლობის მინისტრი ვისხედით, – სტუმარმა გვთხოვა, შეგვევლო ფეროშენადნობთა საშინლად მბოლავ ქარხანაში. რამდენიმე საამქროს და საყოფაცხოვრებო შენობის დათვალიერების შემდეგ მან გადაწყვიტა ზესტაფონში დაგეგმილი იაპონური, ჰერმეტიზებული, ზემძლავრი ელექტროღუმელების მშენებლობასთან ერთად მოქმედი ღუმელების გაზგამწმენდი დანადგარების მშენებლობით აღეკვეთა შესანიშნავი ბუნებისა და ადამიანების მომწამლავი გამონაბოლქვების ტრაგედიად ქცეული პრობლემა.

იაპონური ზემძლავრი, 90 მგვტ სიმძლავრის ელექტროთერმული ღუმელების საამქროს მშენებლობა წინა საუკუნის 80-იან წლებში ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორად გურამ ქაშაკაშვილის მუშაობის დროს განხორციელდა. ჰერმეტიზირებული ზემძლავრი ღუმელების ნორმალური მუშაობისთვის საჭირო იყო ნაჭროვანი, კალიბრებული კაზმის მომზადება. ამ მიზნით გურამ ქაშაკაშვილმა აამოქმედა გაჩერებული აგლოფაბრიკა, ბრიკეტფაბრიკა სველი კონსტრუქციის გაზგამწმენდი დანადგარებით, მისი გამოგონებით აშენებული წიდების კომპლექსური გადამუშავების უბნით (გრანულაცია, დამსხვრევა, ფრაქციული დახარისხება, მშრალი სეპარაცია, სუფთა შენადნის გამოყოფით), გამონაბოლქვი მტვრის, შლამებისა და ნარჩენის აგლომერაციით, ბრიკეტირებითა და კვლავწარმოებაში მათი დაბრუნებით შეწყდა სილიკომანგანუმის წიდების მდინარე ყვირილას სანაპიროზე გადაყრა, მისი ეკოლოგიური დაბინძურება. ამას გარდა, განხორციელდა ყველა საამქროს ძირეული რეკონსტრუქცია.

– ბატონო რევაზ, ალბათ, უპრიანი იქნება ფართო საზოგადოებისთვის გაგვეცნო ენციკლოპედიაში ასახული რუსთავის მეტალურგიული ქარხნის როლი საქართველოში მრეწველობის მრავალი დარგის და დარგობრივი მეცნიერების განვითარებაში, მკითხველს მოუთხროთ ენციკლოპედიის ავტორთა კოლექტიური ხელმძღვანელის და მთავარი რედაქტორის გურამ ქაშაკაშვილის შესახებ. ამ საკითხის გაშუქებისას განსაკუთრებით უნდა გამოვყო ენერგეტიკის დარგის განვითარებაში მეტალურგების წვლილი.

– ბატონი გურამი ყოველთვის მზად იყო, რომ გვერდში დასდგომოდა ენერგეტიკულ დარგს, ავარიული ვითარების დროსაც ერთხელ, როდესაც თბილსრესის (გარდაბანში) წყალმომარაგების სისტემის კაშხალი დაინგრა და სადგური გაჩერდა, სწორედ ბატონი გურამის დახმარებით შევძელით დროებითი წყალმომარაგების მოწყობა და ახალი სისტემის მშენებლობაშიც მან დიდი მონაწილეობა მიიღო, რამაც უზრუნველყო თბილსრესის სრული სიმძლავრით ამოქმედება.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობისას ნიკოლოზ ქაშაკაშვილის თაოსნობით ახალციხის მურა ნახშირების ბაზაზე აშენდა რუსთავის 150 მგვტ სიმძლავრის თბოელექტროსადგური, რითაც საქართველოში საფუძველი ჩაეყარა თბოენერგეტიკას. მოხმარებული ელექტროენერგიის სწრაფმა ზრდამ განაპირობა 1250 მეგავატი სიმძლავრის გარდაბნის თბოელექტროსადგურის მშენებლობაც. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის რეკონსტრუქციისას ზემძლავრი იაპონური ღუმელების ამოქმედებისთვის შავი მეტალურგიის სამინისტრომ დიდი ფინანსები გაიღო ენგურჰესის მშენებლობისთვის.

ელექტროფოლადსადნობი საამქროს მშენებლობისას რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორის გურამ ქაშაკაშვილის თაოსნობითა და „საქმთავარენერგოს“ მმართველის იური ჭედიას ორგანიზატორობით, მეტალურგიული ქარხნის წილობრივი ფინანსური მონაწილეობით, გარდაბნის თბოელექტროსადგურის სიმძლავრე მკვეთრად გაიზარდა, აშენდა და ამოქმედდა მარნეულის 500-კილოვოლტიანი ქვესადგური და მოხდა შეპირისპირება კოხრასა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემასთან.

საქართველოს დამოუკიდებლობის ჟამს გურამ ქაშაკაშვილის მეთაურობით და აქტიური მონაწილეობით მიღწეული იქნა რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის კატეგორიული განკარგულების გამოცემა აფხაზი სეპარატისტების მიერ წართმეული ენგურჰესის მართვის საქართველოს ენერგეტიკოსებისთვის გადმოცემის თაობაზე.

სათათბიროს დეპუტატებისა და არძინბას კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად, გურამ ქაშაკაშვილმა ჩვენი ქვეყნის დიდი პატრიოტის სერგეი ბაღაფშის დახმარებით შეძლო ის, რომ რუსეთის ენერგეტიკის სამინისტროს 1993 წლის ოქმის საფუძველზე ენგურჰესს დღემდე საქართველოს ენერგეტიკოსები მართავენ, რამაც მკვეთრად გაზარდა ჩვენი ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობა და ენერგომედეგობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ გურამ ქაშაკაშვილის თაოსნობით ჩვენი ქვეყნის სამთო-მეტალურგიული დარგის გადარჩენა. სამთო-მეტალურგიულ კომპანიაში გააერთიანა ჭიათურმანგანუმის, კაზრეთის ფერადი მეტალურგიის გაერთიანებები, ზესტაფონის ფეროშენადნობთა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნები და მიაღწია რუსეთის, ყაზახეთისა და უკრაინის მთავრობებთან ჩარჩო-ხელშეკრულებების გაფორმებას. ხელშეკრულებების თანახმად 1993-97 წწ. საქსამთომეტალურგიაში შემავალი საწარმოების 36 ათასზე მეტი სპეციალისტი უზრუნველყოფილი იყო ელექტროენერგიით, შავი და ფერადი ლითონების ნაგლინით, მექანიკური და ენერგეტიკული მოწყობილობები, ხე-ტყით და იაფი (19-50 დოლარის ფარგლებში) ბუნებრივი აირით, საიდანაც ქალაქ რუსთავის მოსახლეობა უფასოდ ღებულობდა მას და, რაც მთავარია, ჩვენი საწარმოების პროდუქციის ექსპორტით. აღნიშნული ხელშეკრულებებით კომპანია ყოველწლიურად 350 მილიონ დოლარზე მეტ მოგებას ღებულობდა.

გურამ ქაშაკაშვილის პარლამენტში არჩევის შემდეგ ვერც ერთმა გენერალურმა დირექტორმა და კომპანიის პრეზიდენტმა ვერ შეძლო ხელშეკრულებების გაგრძელება, შეწყდა ბუნებრივი აირის მოწოდება, სხვა სიკეთეები და ქვეყნის წინა ხელისუფლებამ „ჯართის ფასად“ გაყიდა ჩვენი ქვეყნის მილიარდობით ეროვნული სიმდიდრე, მათ შორის, წიაღისეული.

ენციკლოპედიაში ფართოდ ასახულია აგრეთვე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის და თავად გურამ ქაშაკაშვილის ქველმოქმედებანი, რაც ცალკე საუბრის თემაა.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მეტალურგიული დარგის და მეცნიერების წარმატებებში აშკარა რეკორდსმენია პროფესორი გურამ ქაშაკაშვილი – საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრი დამფუძნებლის სტატუსით, უკრაინის მეცნიერებათა, რუსეთისა და ევროკავშირის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი, 3 მეცნიერული (!! 390, 416, 497) აღმოჩენით, 103 გამოგონების და პატენტის, მათ შორის 7 გაყიდულის (აშშ-ში, იაპონიაში, გერმანიაში), ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პრიორიტეტის მინიჭების შემდეგ ჩინეთში დაპატენტებული გამოგონებით, 320 მეცნიერული ნაშრომით, მათ შორის 20-ზე მეტი მონოგრაფიით, ლექსიკონების ორტომეულებით, სახელმძღვანელოებით. იგი უმაღლესი სახელმწიფო და მეცნიერული ჯილდოების კავალერი, მეცნიერებისა და კულტურის რაინდის წოდებით დაჯილდოებულია.

აქვე ისიც უნდა განვაცხადოთ, რომ 1945-2000 წლებში, მიუხედავად მეტალურგიული მეცნიერების თვალსაჩინო წარმატებებისა. მეტალურგები ოთხჯერ ნაკლები რაოდენობით არიან არჩეულები საქართველოს ეროვნულ-მეცნიერებათა აკადემიაში.

„სამთო-მეტალურგიული ენციკლოპედიის“ ავტორები, სარედაქციო კოლეგიის წევრები (და, ალბათ, თქვენც,ჟურნალისტები, ტექნიკურ ინტელიგენციასთან ერთად) ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის წევრები და აკადემიის პრეზიდენტი გიორგი კვესიტაძე, რომელიც წინამდებარე ენციკლოპედიის სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარეა, აკადემიის სამომავლო არჩევნებში მეტალურგებს გამოუყოფენ საკონკურსო ადგილებს, ტრადიციულად ქიმიური ტექნოლოგიისა და მანქანათმშენებლობის განყოფილებებში, რომ ღირსეული მეტალურგი-მეცნიერები არჩეულ იქნან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შემადგენლობაში, რომლებიც თავიანთი მეცნიერული მიღწევებით გარკვეულად აამაღლებენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთაშორისო სახელს და ფრიად საგულისხმო მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის არცთუ სახარბიელო მდგომარეობის დროულად გამოსწორებაში.

– მჯერა ეს ენციკლოპედია ხელსატაცად სამაგიდო გახდება არა მარტო სამთო-მეტალურგებისთვის, არამედ საერთოდ ჩვენი ტექნიკური ინტელიგენციისთვის. თქვენც, ალბათ, ასევე ფიქრობთ?

– რასაკვირველია, ამიტომ უთუოდ დიდი მადლობა უნდა ვუთხრათ ყველას, ვინც ამ მართლაც ისტორიულ გამოცემაზე მუშაობდა პროფესორ გურამ ქაშაკაშვილის მეთაურობით, მათ შორის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებს, მადლობის თქმაც გეკუთვნით თქვენც, პრესის მუშაკებს, ენციკლოპედიაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი პრესასაც და, კერძოდ, თქვენს გაზეთ – „საქართველოს რესპუბლიკას“, რომელიც მუდამ მიუკერძოებლად აშუქებდა ქართულ სამთო-მეტალურგიის საკითხებს.

– დიდი მადლობა, ბატონო რევაზ, ფრიად შინაარსიანი ინტერვიუსთვის, რაც მართალია, ცოტა ვრცელი გამოგვივიდა, მაგრამ 1200-გვერდიანი ენციკლოპედიის შეფასება იოლი საქმე არ არის.

* * *

გმირობის ჩადენა გრძოლის ველზე გევრად ადვილია, ვიდრე სამოქალაქო პირობებში., ადამიანები, მეტადრე საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის მოწოდებული ადამიანები, ყოველდღე სჩადიან გმირობას ხმელეთზე, ცაში, ზღვაზე, რასაც ყოველთვის ვერ ვამჩნევთ, არადა, ეს გმირები ჩვენ გვერდით ცხოვრობენ. სულაც გავგიდავ და ვიტყვი, რომ არაჩვეულებრივნი არიან, ჩვენ კი ჩვეულებრივ ადამიანებად აღვიქვამთ, რადგან სხვათაგან გამორჩევას არ ცდილობენ, როგორც იტყვიან, თავს მწვანე კიტრივით არ იწონებენ, ზოგიერთებსავით გუქს არ აყენებენ. თითქმის სამოცი წელიწადია, რაც სწორედ ასეთ ადამიანად ვიცნობ გურამ ქაშაკაშვილს, სამშობლოს გამფოლადებელ კაცს, რომელმაც, როგორც მეტალურგმა-მეცნიერმა და პრაქტიკოსმა ორგანიზატორმა, თავის არაერთ სამოქალაქო გმირობას ამ „სამთო-მეტალურგიის ენციკლოპედიის ორტომეულის იშვიათი გამოცემით კიდევ ერთი გმირობა დაამატა.

ეს კი, ჩანს, მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ქვეყნის სიყვარულში ფოლადი გირევია. სხვა რა უნდა ვიფიქროთ...

მთელი შეგნებული ცხოვრება სამშობლოს გაღონიერებისთვის თავგადადებული კაცის თავდადგმულ საქმეებს კი არ უნდა ვითვლიდეთ, უნდა ვწონიდეთ, და თუ წონა ფრიად და ფრიად საგულისხმოა, მაშინ ამ კაცზე კარგის თქმა ალალი და უპრიანია, თანაც ხმამაღლა, მთელი ქვეყნის გასაგონად თქმა, რათა ის მრავალთათვის კეთილი მაგალითი გახდეს! – აი, ასე აზრადევნებული ვიწერდი ამ ინტერვიუს.

მოამზადა
გურამ გოგიაშვილმა

შავ ზღვაში ნატო-რუსეთის დაპირისპირება გარდაუვალია!..

გონებით განუსჯელი პუტინი

უკრაინისა და საქართველოს ნატოში სწრაფვა ალიანსს, აღრე თუ გვიან, მკაფიო არჩევანის წინაშე დააყენებს: ან კიევსა და თბილისს მხარი დაუჭიროს, ან რუსეთს დაუთმოს და პოლიტიკური მარცხი განიცადოს, – დარწმუნებულია DW-ს ანალიტიკოსი კონსტანტინე ეგერტი.

ანალიტიკურ სტატიაში მას ნატოსა და ევროპაში გაერთიანებული ჯარების ყოფილი სარდლის, გადამდგარ გენერალ ჯეიმს სტავრიდისის მოსაზრება მოჰყავს იმის შესახებ, რომ „პუტინი უკრაინას არა ხმელეთიდან, არამედ შავი ზღვიდან შეუტევს, მის პორტებს დაიკავებს ან ბლოკადაში მოაქცევს და შექმნის სახმელეთო დერეფანს ყირიმის „დიდ მიწასთან“ დასაკავშირებლად; თავის მხრივ, ნატო კრემლის ქმედებებს დაგმობს, თუმცა არ ჩაერევა – უკრაინა ხომ ალიანსის წევრი არ არის და ნატოს წესდების მე-5 მუხლით გათვალისწინებული კოლექტიური თავდაცვის გარანტიები მასზე არ ვრცელდება“.

როგორ დაეხმარა პუტინი „ბუქარესტის ცხრიანს“

ეგერტის აზრით, ნაკლებ სავარაუდოა, ე.წ. ბუქარესტის ცხრიანის ლიდერებს აშშ-ის პრეზიდენტთან და ნატოს გენმდივანთან 10 მაისის ვირტუალურ სამიტზე უახლოესი მომავლისთვის მოვლენათა განვითარების მსგავს სცენარზე ემსჯელათ, თუმცა ნათელია, რომ საუბარი შეეხებოდა უკრაინასა და იმას, როდის და რა შეიძლება, მოიმოქმედოს ვლადიმირ პუტინმა უკრაინის საზღვრებთან აპრილის „წვრთნების“ შემდეგ.

„ცხრიანი“ ნატოს ე.წ. აღმოსავლეთ ფლანგის ქვეყნების არაფორმალური გაერთიანებაა. იგი 2014 წელს – შეიძლება ითქვას, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის კვალდაკვალ, რუმინეთისა და პოლონეთის ინიციატივით შეიქმნა. მოგვიანებით მათ ლატვია, ლიეტუვა, ესტონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი და ბულგარეთი შეუერთდნენ. 9-დან 7 ქვეყანა კრემლის პოლიტიკისადმი მაქსიმალურად მკაცრი მიდგომის მომხრეა. უნგრეთსა და ბულგარეთს უფრო მოქნილი პოზიციები აქვთ, თუმცა ხშირად ისინი რუმინელების, პოლონელებისა და ლიეტუველებისას ემთხვევა.

მთელი გასული წლების განმავლობაში ცხრიანი ნატოში ერთიან ფრონტად ცდილობდა პოზიციონირებას, რაც ზოგიერთს აღიზიანებდა, განსაკუთრებით – გერმანიასა და საფრანგეთს, რომლებსაც ნებისმიერ პირობებში მოსკოვთან დიალოგის შენარჩუნების ტრადიციული ხაზი გააჩნიათ. მაგრამ „ცხრიანის“ ამჟამინდელი სამიტი აპრილის კრიზისის შემდეგ, თანაც რუსეთ-უკრაინის ომის ახალი რაუნდის შენარჩუნებადი საფრთხის ფონზე გაიმართა. ამასთანავე, ივნისისთვის დაგეგმილია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მორიგი სამიტი, ამჟამად კი ნატოელი მოკავშირეების სერიოზული წვრთნები ტარდება. ბუქარესტში ამერიკელებს მოუწოდებენ, რადიკალურად გაზარდონ თავისი სამხედრო წარმოდგენილობა რუმინეთში. ვირტუალურ კონფერენციაში ჯო ბაიდენის მონაწილეობა კი ადასტურებს, რომ კონტექსტი (მათ შორის – პუტინის მიერ იარაღის ჟღარუნის გამოც) შეცვლილია და შავი ზღვის მიმართულებას ნატოში პრიორიტეტულად აღიქვამენ.

თუმცა ეს ყველაფერი სულაც არ ნიშნავს, რომ ალიანსს მკაფიო სტრატეგია გააჩნია.

უკრაინული (და ქართული) ოცნება

ამაზე თუნდაც ის გარემოება მეტყველებს, რომ რა მოიმოქმედონ უკრაინასა და საქართველოსთან დაკავშირებით, რომლებიც უკვე წლებია, სისტემურად ისწრაფვიან ალიანსში გაწევრიანებისაკენ, ამ დრომდე გაურკვეველია. ისინი ამ სწრაფვას გააგრძელებენ. უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა რუსულ ჯართან 7-წლიანი დაპირისპირების განმავლობაში გამოცდილება შეიძინეს. ისინი ბევრად უკეთ არიან შეიარაღებულები (მათ შორის – ამერიკული იარაღით). ოფიცერთა შემადგენლობა (ისევე, როგორც ქართული) რეგულარულად იწვრთნება და სტაჟირებას გადის ალიანსის ქვეყნებში. შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო პოლიტიკური კონტროლი სრულად შეესაბამება ნატოს სტანდარტებს, დემოკრატიული ინსტიტუტები კი სულაც არ არის იმაზე უარეს მდგომარეობაში, ვიდრე შავი ზღვისპირეთის ნატს წევრ ქვეყანაში — თურქეთში.

წევრობის კანდიდატებისადმი ხშირად განმეორებადი მოთხოვნა – ტერიტორიული კონფლიქტების არარსებობა – არ არის ფორმალიზებული ვაშინგტონის 1949 წლის შეთანხმებაში, რომელმაც თავის დროზე ალიანსს ჩაუყარა საფუძველი. მეტიც, როგორც სტატიის ავტორი ნატოს გენმდივნის ერთ-ერთ ყოფილ მოადგილეზე დაყრდნობით აღნიშნავს, საქართველოს წარმომადგენლებს არაერთგზის განუცხადებიათ ბრიუსელში, რომ მზად არიან, წერილობით დაადასტურონ თანხმობა იმაზე, რომ კოლექტიური თავდაცვის შესახებ მუხლი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე არ გავრცელდეს.

და ბოლოს, კიევისა და თბილისისთვის ნატს წევრობის დაპირება ბუქარესტის 2008 წლის სამიტის დასკვნით კომიუნიკეშია ასახული. მაშინ მათთვის ე.წ. MAP-ის მინიჭებას აშშ-ის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა – უმცროსმა ჯორჯ ბუშმა, ასევე ბალტიისპირეთისა და ცენტრალური ევროპის ქვეყნებმა დაუჭირეს მხარი. თუმცა გერმანია და საფრანგეთი ამას კატეგორიულად შეეწინააღმდეგნენ.

ისრაელის „რკინის გუმბათი“ – როგორ მუშაობს და რა ნაკლი აქვს?!

ისრაელსა და პალესტინელებს შორის დაპირისპირების გამწვავების შემდეგ სოციალურ ქსელებში არაერთი ვიდეო გავრცელდა, სადაც ჩანს ღაზის სექტორიდან გასროლილი რაკეტები, რომლებიც თითქოს უხილავ კედელს ეჯახება.

ეს „რკინის გუმბათია“ – თავდაცვითი სისტემა, რომელიც ისრაელს რაკეტებისა და ჭურვებისგან იცავს.

რა არის „რკინის გუმბათი“?

ესაა მოკლე დისტანციის საჰაერო თავდაცვითი სისტემა, რომელსაც ისრაელი იყენებს 70 კილომეტრის მანძილიდან გასროლილი რაკეტების გასაუვნებელყოფად.

სისტემა მოიცავს რაკეტების ამოცნობის, მათი ტრაექტორიის გამოთვლის და ჰაერში განადგურების მექანიზმებს. ის ყველანაირ ამინდში მუშაობს – ნისლშიც, წვიმაშიც და მტვრის ღრუბელშიც. სისტემა აანალიზებს საფრთხეს და ანტირაკეტას მხოლოდ მაშინ უშვებს, თუ საფრთხე დასახლებულ ადგილს ემუქრება.

რამდენად ეფექტიანია?

ისრაელის ოფიციალური პირები ამტკიცებენ, რომ „რკინის გუმბათი“ ღაზიდან გამოსროლილი რაკეტების 85-90 პროცენტს უმკლავდება. ზოგიერთ ექსპერტს ეჭვი შეაქვს ამ მაჩვენებლის სანდოობაში, თუმცა ანალიტიკოსების უმეტესობა თანხმდება, რომ სისტემა მუშაობს.

ჟურნალ „ტაიმსის“ თავდაცვის ექსპერტმა მარკ ტომპსონმა თქვა „ისრაელის მხრიდან მსხვერპლის ნაკლებობა გვაძლევს საშუალებას, ვიფიქროთ, რომ ეს „რკინის გუმბათი“ ყველაზე ეფექტიანი და გამოცდილი სარაკეტო თავდაცვითი სისტემაა, რაც მსოფლიოს უნახავსო“. ისრაელის სარაკეტო თავდაცვის ორგანიზაციის ხელმძღვანელის, მოშე პატელის შეფასებით, სისტემამ ათასობით რაკეტა ჩამოაგდო და ასობით სიცოცხლე გადაარჩინა.

რამდენი ხანია არსებობს „რკინის გუმბათი“?

საჰაერო თავდაცვის მსგავსი სისტემის შექმნა იერუსალიმმა 2006 წელს „ჰეზბოლასთან“ კონფლიქტის შემდეგ გადაწყვიტა. მაშინ ისრაელის ჩრდილოეთით 4 ათასი რაკეტა დაეცა და 44 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

„რკინის გუმბათი“ 2007 წელს, ისრაელის კომპანია „რაფაელს“ დაუკვეთეს. ოთხ წელიწადში ის უკვე სამხედრო მზადყოფნაში იყო, რაც შეიარაღების სისტემისთვის საოცრად მცირე დროა. თავდაცვითი სისტემის შექმნა ნაწილობრივ ამერიკამაც დააფინანსა და პროგრამისთვის 429 მილიონი დოლარი გამოყო.

კიდევ ვის აქვს მსგავსი სისტემა?

2016 წელს აზერბაიჯანის თავდაცვის მრეწველობის მინისტრმა, იავერ ჯამალოვმა განაცხადა, რომ ისრაელისგან შეიძენდა „რკინის გუმბათის“ სისტემას.

მას შემდეგ იერუსალიმთან ხელშეკრულებას ინდოეთმა, რუმინეთმა და აშშ-მაც მოაწერეს ხელი.

რა ნაკლი აქვს სისტემას?

„გუმბათი“ ყოვლისშემძლე არ არის და თუ ერთდროულად ძალიან ბევრ რაკეტასთან მოუხდა გამკლავება, რამდენიმემ შეიძლება დაცვა გაარღვიოს. „ჰამასი“ ცდილობს ხოლმე ერთბაშად ბევრი იაფი რაკეტის გატყორცნას და სისტემის ამგვარად გადატვირთვას.

თუმცა, რამდენიმე ანალიტიკოსის აზრით, თავდაცვითი ფარის მთავარი ნაკლი ისაა, რომ ის ისრაელის პოლიტიკოსებს უძლეველობის განცდას უჩენს და ისინი მშვიდობის მიღწევას კი არა, „კონფლიქტის მენეჯმენტს“ ცდილობენ და ღაზის დაბომბვას აგრძელებენო...

რადიო თავისუფლება

როგორ მუშაობს „რკინის თაღი“?

ისრაელის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემას შეუძლია მობილური ბატარეისგან 70 კილომეტრის მანძილიდან გამოშვებულ რაკეტებსა და საარტილერიო ჭურვებს გაუმკლავდეს.



უკრაინა და საქართველო – ნატოს „გლობალური პარტნიორები“?

ეგერტის აზრით, პუტინი, სანამ ის ხელისუფლებაშია, არ მისცემს უკრაინელებსა და ქართველებს შესაძლებლობას, საკუთარი გზით იარონ და ნატოში შევიდნენ. არადა, იგი კრემლში დარჩენას 2036 წლამდე გეგმავს. „ძნელად წარმომიდგენია, ამ ხნის განმავლობაში კიევსა და თბილისში უბრალოდ ისხდნენ და თმენით ელოდონ მორიგ „მედვედევისეულ რემისიას“, მით უფრო, რომ ის შესაძლოა, აღაც განმეორდეს. რაც მეტად ჩაბარდება ისტორიას სსრკ, მით მეტად გააცნობიერებენ ქართველები და უკრაინელები თავის ეროვნულ ინტერესებს, როგორც მოსკოვის ინტერესებისგან განსხვავებულს და მით უფრო მძლავრად დაიწყებენ ალიანსის კარზე კაკუნს“ – დარწმუნებულია სტატიის ავტორი.

როგორც ეგერტი აღნიშნავს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, უკრაინასა და საქართველოს „გლობალური პარტნიორების“ სტატუსი მიენიჭოს – იმის მსგავსი, როგორიც გააჩნიათ სამხრეთ კორეას, იორდანიას, ავსტრალიას, მაგრამ ეს დროებითი გადაწყვეტილებაა, თანაც, საქმე სამეზე რომ მიდგეს, მასაც შეუძლია, კრემლის მოქმედების პროვოცირება.

ომის ფასი ნატოსთვის

ავტორის შეფასებით, ერთის მხრივ – კიევი (და ოდნავ ნაკლები ხარისხით თბილისი), ხოლო მეორეს მხრივ მოსკოვი უცილობლად უახლოვდებიან მომავლისთვის ბრძოლის ახალ რაუნდს და ადვილად შესაძლებელია, პუტინი, რომელსაც თავისი არაპროგნოზირებადობით მოაქვს თავი, წავიდეს „პრევენციულ დარტყმაზე – სანამ (მისი ხედვით) გვიანი არ არის“.

ამასთან, ეგერტის ხედვით, უკრაინის შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის მნიშვნელოვანი ზრდის გათვალისწინებით, რუსეთთან მისი დაპირისპირების ახალი რაუნდი შესაძლოა, შავი ზღვის რეგიონში დიდ ევროპულ ომში გადაიზარდოს. **„გაღრმავებადი თანამშრომლობის ამდენი წლის შემდეგ უკრაინის შესაძლო მარცხი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მარცხადაც წარმოჩინდება – ზუსტად ისევე, როგორც აზერბაიჯანთან გასული წლის ომში სომხეთის მარცხი წარმოჩინდა მისი მთავარი მოკავშირისა და დამცველის – რუსეთის მარცხად“** – აღნიშნავს ანალიტიკოსი. მისივე პროგნოზით, „შესაძლო ომი მსოფლიო ბაზრებს დაარტყამს, მოარყევს ნატ-ს სამხრეთ ფლანგის ისედაც შერყეულ სტაბილურობას და, რაც მთავარია, პოლიტიკურად გახლეჩს და ფატალურად შეასუსტებს ალიანსს, რომელშიც „ბუქარესტის ცხრიანი“ უკვე წლებია, განგაშის ზარს რეკს, სხვა მოკავშირეები კი თავს იკატუნებენ, თითქოს მიმდინარე მოვლენები მათ მხოლოდ ირიბად ეხებოდეთ“.

„სწორედ ასეთი შედეგი იქცევა კრემლისთვის მთავარ ნადავლად“ – თვლის ეგერტი.

ისრაელის განცხადებით, ჰამასი AL JAZEERA-სა და ASSOCIATED PRESS-ის ოფისებს ცოცხალ ფარად იყენებდა

ისრაელის შეიარაღებული ძალების განცხადებით, ღაზას სექტოროში მრავალსართულიან შენობას, რომელიც დაიბომბა, ჰამასი სამხედრო მიზნებისთვის იყენებდა.

ისრაელის განცხადებით, ამ შენობაში განლაგებული იყო ტერორისტული ორგანიზაციის სადაზვერვო სამასახურების ოფისები.

„შენობაში განლაგებული იყო მედიის ოფისები, რომლებსაც ტერორისტები ცოცხალ ფარად იყენებენ. ჰამასის მიერ ღაზას სექტორში, მჭიდროდდასახლებულ სამოქალაქო რაიონებში მიზანმიმართულად არის განთავსებული სამხედრო ობიექტები“, – აცხადებენ ისრაელის თავდაცვის ძალებში.

გუშინ ღაზაში ისრაელმა 15-სართულიანი შენობა დაბომბა, სადაც განთავსებული იყო საერთაშორისო მედიის ოფისები.

მანამადე, ისრაელმა გააფრთხილა, რომ უახლოეს საათებში მისი თავდაცვის ძალები დაარტყამდნენ შენობას, სადაც განლაგებულია ტელეარხ Al-Jazeera-ს, სააგენტო Associated Press-სა და სხვა საერთაშორისო მედიასაშუალებების ოფისები.

Al-Jazeera-ს და Associated Press-ის ინფორმაციით, გაფრთხილების მიღების შემდეგ თანამშრომლებმა და სახლში მცხოვრებმა მოქალაქეებმა შენობა დაუყოვნებლივ დატოვეს.

წიგნი რაბლეურ მართლ-მსაჯულებაზე

„შეიცანით ჭეშმარიტება, და ჭეშმარიტება გაგხდით თავისუფალს“.

(იოანეს ქადაგება)

„მართლმსაჯულების ხელოვნება...“ ჩემი საყვარელი „ნამუშევარია“, და ის ჩემთვის თავისი შინაგანი არსით რაღაც გაცილებით მეტია, ვიდრე კვლევაა, რამდენადაც ბავშვობიდან მოყოლებული, გურამ გოგიაშვილის წყალობით, ფრანსუა რაბლეს „ეგარგანტუა და პანტაგრუელის“ მთელი პასაჟები და ოხუნჯობანი ჩამესმოდა, რომლებიც ნაირგვარ სადღეგრძელოებად მორაკრაკებდა ჩემ თვალწინ... შემდეგ ამ ყველაფრის წიგნად გადაქცევის იდეა მომიწონა და წამახალისა ბატონ მინდია უგრეხელიძის შეფასებამ, რომელმაც თავად ჩაუყარა საფუძველი, როგორც აღნიშნავს სამართალთან ლიტერატურული პარა-ლელების, პარა-დოგმებისა და პარა-დოქსების კვლევას. ასევე არ შემიძლია მადლიერების გრძნობით არ გავიხსენო ჩემი კიდევ ერთი პედაგოგი სერგო ჯორბენაძე, რომლის ლექციების წაკითხვის მანერამაც და ფართო თვალსაწიერმაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. დანარჩენი კი თუ რა გამოვიდა ამ სამართლებრივ-ლიტერატურულ-ფილოსოფიური ნაზავით თავადაც შეგიძლიათ დააგემოვნოთ“.

„დააგემოვნოთო“, ასე ასრულებს ამ შესანიშნავი წიგნის ავტორი საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი, კონსტიტუციონისტი და მოსამართლე **გიორგი გოგიაშვილი**. წიგნის სრული სახელწოდებაა **„მართლმსაჯულების ხელოვნება მეტრ ფრანსუა რაბლესი“**. როდესაც იურისდიქციისპრუდენციით არა ხარ დაინტერესებული და ეს მეტად რთული, საპასუხისმგებლო და უძველესი მეცნიერება შენი პროფესია არ არის, მაშინ როდესაც ამგვარ, ავტორისეულ საჩუქარს გადაიკითხავ, ეს მჩუქებლისთვის დიდი პატივისცემის გამოხატულებაა, მაგრამ, როცა „დააგემოვნებ“ და შემდეგ კიდევ რამდენჯერმე დაგჭირდება თავისი უბრალოებითა და არაპროფესიონალთათვის მეტად გასაგები და კარგი ქართულით დაწერილი წიგნის გადაკითხვა, ეს ავტორის დიდ პროფესიონალიზმზე მეტყველებს და ამგვარი წიგნები უამრავი საყურადღებო ფაქტებითა და საუკუნეების სიგრძეზე ამ სფეროში მოღვაწე ტიტანთა ნააზრევის გამოხმობით გაჯერებული უკვე სამაგიდო წიგნებად ითვლება.

„მართლმსაჯულების ხელოვნება...“ იმითაა საგულისყურო და ყველასთვის გასაგებიც, რომ ბატონი გიორგი იმ უდიდესი რენესანსული ეპოქის წარმომადგენლის, უკვდავი „გარგანტუა და პანტაგრუელის“ ავტორის ფრანსუა რაბლეს ნააზრევსა და ფილოსოფიას მიმოიხილავს თანამედროვე იურისპრუდენციის თვალსაწიერით, რადგან კარგა ხანია საფრანგეთში გამოცემული ნაშრომი „ფრანსუა რაბლეს დროინდელი იურისპრუდენცია“ ამ სფეროს წარმომადგენელთათვის სამაგიდო წიგნადაა ქცეული.

ავტორმა თავისი წერის მანერით, ხელოვნებისა და ლიტერატურის უსაზღვრო სიყვარულის წყალობით (იგი სახელმწიფოს მოწყობისა და კონსტიტუციების თავისებურებების შესახებ გამოცემული შესანიშნავი წიგნების ავტორიც გახლავთ) შეძლო ისეთი უდიდესი მსოფლიო ქმნილების, რომლის წაკითხვა-გააზრება მხოლოდ სვენებ-სვენებით შეიძლება (ქართული „გარგანტუასა და პანტაგრუელის“ შესანიშნავად მგადმოენებელს, გურამ გოგიაშვილს თუ დავესესხებით, რომელმაც ქართველი მკითხველისთვის თითქმის 30 წელი იღვაწა, რათა უდიდესი ფრანგი მწერლის ნაწარმოები ქართულად აემეტყველებინა უმდიდრესი ლექსიკით), თანამედროვე სამართლის კანონებით წარმოჩინება, რომელიც ერთი სულის ამოთქმით იკითხება, მაგრამ... დიდი პროფესიონალიზმი სწორედ ამ „მაგრამაა“, ისევ ბევრჯერ რომ მიგაბრუნებს წიგნისკენ, თანამედროვე სამართლის კანონებით დაგანახებს, თითქმის ხუთი საუკუნის წინანდელ საფრანგეთს, გინდაც ევროპას, მსოფლიოს მაშინდელ ჭიპს, თავისი უცნაურობებით, კანონის სიმკაცრითა და ამავე დროს არადჩაგდებით, ლეკის ნაბადივით გათელილსა და ბურბონთა დინასტიის სიძლიერის მანტიამოსხმულს, უფრო მეტად რელიგიური დოგმებით შებოჭილს. სწორედ ამ „სამართლის“ გაქილიკება, თავისი ღრმად განსწავლულობითა და მსოფლმხედველობით შეძლო იმ ეპოქაში, ადვოკატის ოჯახში დაბადებულმა ფრანსუა რაბლემ, შეძლო მსოფლიოსთვის დაენახვებინა (ღრმად მწამს, რომ თავადაც კარგად უწყოდა, არამარტო მაშინდელი მსოფლიოსთვის, არამედ ათეულობით საუკუნეების შემდგომი მსოფლიოსთვისაც) უსუსურობა სახელმწიფოებრივი მეცნიერებისა, რადგან იდეა, რისგანაც სულდგმულობს მეცნიერება სახელმწიფოს შესახებ, მაშინდელ, შუასაუკუნეების საფრანგეთს და არამარტო ამ უძლიერეს ქვეყანას, არ გააჩნდა.

როგორ დავინახავდით მაშინდელი სახელმწიფოს მოწყობის გაბატონებულ თეორიას, ახლა, 21-ე საუკუნის კანონებითა და იურისპრუდენციით? სწორედ ამაზეა ეს წიგნი.

ნაშრომის მეტად საყურადღებოს ხდის ქართული პარალელებიც **„გაბრიელ ეპისკოპოსი მართლმსაჯულებისა და ქრისტიანობის კავშირის შესახებ“, „რელიგიური ფიცის მნიშვნელობა მართლმსაჯულებაში“** (ცრუმოწმეობა სისხლის სამართალში; როგორ მიიღწევა ჭეშმარიტება სიცრუის მეშვეობით;) „სასამართლო – ხელისუფლების მესამე შტო“, „მართლმსაჯულების სასახლე, მისი მემკვიდრენი და მათი ზნე-ჩვეულებანი“. გარდა ამისა და მრავალი ქვეთავი თუ შემადგენელი თავი ამ წიგნისა, რომელიც გაჯერებულია ამონარიდებით რაბლეს ქმნილებიდან. საგულისყუროა რაბლეს **„მართლმსაჯულების ფილოსოფიის“** სრულად წარმოსახვისთვის პარალელები რაბლემდელი და მის შემდგომდროინდელი ნაწარმოებებიდან, ზღაპრებიდან, თქმულებებიდან, ლეგენდებიდან და თავად „ბიბლიიდან“.

გიორგი გოგიაშვილის ეს შესანიშნავი წიგნი მართლაც დიდი საჩუქარია იურისპრუდენციით დაგულისყურებულთათვის, სტუდენტებისა და იმ მკითხველისთვის, ყველასთვის, ვისაც უკვდავი „გარგანტუა და პანტაგრუელი“ ცხოვრების საგზლად გაუხდია.

მამუკა ვაშაკიძე

უნიკალური ექსპონატები გამოფენილი უნდა იყოს

თეა წულუკიანმა მორიგი შეხვედრა გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში გამართა.

უწყების ცნობით, თეა წულუკიანმა დაათვალიერა მუზეუმის შენობა, რომელიც მეზობლად მიმდინარე მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობის გამო მძიმე მდგომარეობაშია.

ამასთან, მინისტრი გაეცნო მუზეუმის ფონდში დაცული უნიკალური მასალების (ხელნაწერები, ფოტოები, მემორიალური ნივთები) მიხედვით გამოცემულ წიგნებს. თეა წულუკიანმა მუზეუმს პრობლემების მოგვარებაში მხარდაჭერა აღუთქვა.

„პირველ რიგში, სწორედ ინფრასტრუქტურის გამოსწორებაზე უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ის უნიკალური ფონდები, ხელნაწერი იქნება ეს, ფოტო თუ სხვა მასალა, რომელსაც ეს მუზეუმი მრავალი წელია უვლის და ინახავს, იყოს გამოფენილი, იყოს ხელმისაწვდომი და ჰქონდეს ამას არა მხოლოდ სამუზეუმო, არამედ საგანმანათლებლო დანიშნულებაც. ინფრასტრუქტურის გაუმართაობის მიუხედავად, ჩვენ შევთანხმდით, რომ ვიმუშავებთ ბიუჯეტის გადასინჯვაზე იმისათვის, რომ უფრო მეტი ახალი ექსპონატი შევიდეს მუზეუმში. ასევე, მოხდეს იმ ექსპონატების სრულფასოვანი კვლევა, რომლებიც უკვე არის დაცული ფონდებში, რათა უფრო მეტი გამოცემა შევძინოთ ქართულ წიგნის ბაზარს, ვინაიდან, ამ კვლევებს აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა იმისათვის, რომ მომავალში გვყავდეს განათლებული თაობები,“ – აღნიშნა თეა წულუკიანმა.

◎ სუპერლიგა

ზღვის მოქცევა მაღლივისკენ

სიმართლე გითხრათ, თსუ-ს მაღლივი კორპუსისკენ გულმა უფრო ევრობასკეტისთვის მშენებარე მულტიფუნქციური სპორტის სასახლისთვის თვალის შესავლებად გამიწია.

უკვე მერამდენედ, დავრწმუნდი, რომ „საბა კონსტრაქშენი“ შესაშური პასუხისმგებლობით ეკიდება საშვილიშვილო საქმეს და მალე ჩვენი ქვეყნის დედაქალაქს საამაყო უნივერსალური ობიექტი დაამშვენებს.

რაც შეეხება სუპერლიგის სასტარტო პლეი-ოფს თბილისის „დინამოსა“ და „ცხუმ-აფხაზეთს“ შორის, რატომღაც მეგონა, რომ ტურნირის ფავორიტ „ქუთაისთან“ მეოთხედფინალში მოპოვებული გამარჯვება მუჰამედ ტაჩის გუნდზე ფსიქოლოგიურ დოპინგად იმოქმედებდა და ინერციით კიდევ ერთი მეტოქის დასამარცხებლად იკმარებდა, მაგრამ, საბედნიეროდ, შევცდი, რაც, უპირველესად, ზღვისპირელთა თავკაცის **ნიკო ჩერქეზიშვილის** დამსახურებაა, რომელმაც, ისევე როგორც „ვითას“ კაპიტნობისას, სათადარიგოთა სკამის გავლით სარბიელზე ცეცხლი დაანთო და შეგირდებს უიმედოდ დაწყებული მატჩი მოაგებინა.

„ცხუმ-აფხაზეთი“ — „დინამო“
89:82 (1:0)

ბულაშვილმა (28 ქულა), უილიამსმა, ედვარდსმა, თავაქარაშვილმა და დარბაიძემ კარგახნით გამოუწერეს დევნილებს მდევრის როლში ყოფნა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მასპინძელთა ლიდერები დაიღალნენ და პერსონალური შენიშვნები მოუმრავლდათ, მაკფოლმა, გრინმა, ფევაძემ, ჯონსონმა და შარაბიძემ აიწყვიტეს, რაც სერიაში დასაწინაურებლად ამჯერად საკმარისი აღმოჩნდა.

აღნიშნული წყვილის მეორე შეხვედრა ოლიმპიურ დარბაზში დღეს გაიმართება ისევე, როგორც „კაქტუსისა“ და „რუსთავის“ მეორე ბრძოლა.

პირველი თამაში რუსთაველებმა შინ 89:77 მოიგეს.

◎ საიუბილეოდ

იცოდით, რომ...

წინასაშობაო დღეებში გულით გავიხარეთ, როცა დაარსების 30 წლისთავთან დაკავშირებით მონატრებულ გაზეთ „სარბიელის“ 3521-ე სპეცნომერი დაიბეჭდა.

მაშინ ვისურვეთ, რომ ეს ერთჯერადი გამონათება არ ყოფილიყოს და ჩვენ ძვირფას კოლეგებს ერთგულ მკითხველთათვის სიურპრიზები არც მომავალში მოეკლოთ.

თურმე, რა საჩუქარი გველოდა წინ: გავიდა რამდენიმე თვე და გულშემატკივარმა იხილა ქართული სპორტის მემატიანისა და საფეხბურთო კლუბ „დინამო“ თბილისის ერთობლივი პროექტის კიდევ ერთი — უკვე 3522-ე სპეცნომერი, მიძღვნილი დიუსელდორფის ტრიუმფის მე-40 წლისთავისადმი და რაღა გასაკვირია, რომ ავტორებმა სათქმელი სწორედ 40 გვერდში ჩატიეს.

იმ ბედნიერ ქომაგებს, ვინც აღნიშნული გამოცემის შეძენას მოახერხებს, ინტერესი რომ არ ჩავუკლათ, მხოლოდ რამდენიმე „შპარგალკას“ შევთავაზებთ, დანარჩენს კი, დარწმუნებულნი ვართ, ერთი ამოსუნთქვით „დაღეჭავენ“: **იცოდით,** რომ შვეიცარიის ქალაქ ციურიხში გამართული წილისყრის შედეგად ნოდარ ახალკაცის გუნდს ისტორიულ სეზონში უეფას თასზე უნდა ეთამაშა და მისი პირველი მეტოქე ტურნირის მოქმედი გამარჯვებული ფრანკფურტის „აინტრახტი“ უნდა ყოფილიყო? **იცოდით,** რომ ავსტრიელი მსაჯი ფრანც ვიორერი, რომელმაც უღვთოდ გაგვწირა და „ფეიენოორდთან“ საპასუხო მატჩი კინაღამ ვატერლოოდ გვიქცია, 1973 წელს „ტოტენჰემთან“ (1:1), ხოლო 1977 წელს „ინტერთან“ (1:0) გადატანილ ბრძოლებშიც ასრულებდა თემიდის მსახურის ფუნქციას? **იცოდით,** რომ ნოდარ ახალკაცის თხოვნით იმ წლებში იენის უნივერსიტეტის სტუდენტი დავით კაკაბაძე მტრის ზურგში შეგზავნილი მზვერავის ამპლუაში მოგვევლინა და ფარსადანოვიჩს შესაძლო მეტოქის შესახებ შეუფასებელი ინფორმაციებით ამარაგებდა? და ბოლოს — **იცოდით,** რომ გერმანიიდან საპატიო ნადავლით დაბრუნებულ „ლომკაცებს“ თანამემამულეებმა ღირსეული დახვედრა ჯერ მოსკოვის „შერემეტიევოს“ აეროპორტში მოუწყვეს?

◎ ოკეანის გაღმა

ცხელი ყინული

„პიტსბურგი“ — „აილენდერსი“, „ტორონტო“ — „მონრეალი“, „ედმონტონი“ — „ვინიპეგი“, „ვეგასი“ — „სენტ ლუისი“, „კოლორადო“ — „მინესოტა“.

მარათონული რეგულარული სეზონის შემდეგ გაირკვა ჰოკეის ეროვნული ლიგის (NHL) პლეიოფების მონაწილეთა ვინაობა, რომლებიც სტენლის თასისათვის გააგრძელებენ ბრძოლას. ესენია:

ჩრდილოეთის დივიზიონი — „ტორონტო“, „ედმონტონი“, „ვინიპეგი“, „მონრეალი“;

ცენტრალური დივიზიონი — „კაროლინა“, „ფლორიდა“, „ტამპა ბეი“, „ნეშვილი“;

აღმოსავლეთის დივიზიონი — „პიტსბურგი“, „ვაშინგტონი“, „ბოსტონი“, „აილენდერსი“;

დასავლეთის დივიზიონი — „ვეგასი“, „კოლორადო“, „მინესოტა“, „სენტ ლუისი“.



მერვედფინალები გუშინ **„ვაშინგტონმა“** და **„ბოსტონმა“** გახსნეს — (3:2), დანარჩენი მეტოქენი კი ასე დაწყვილდნენ:

„კაროლინა“ — „ნეშვილი“, „ფლორიდა“ — „ტამპა ბეი“,

◎ 64

რჩეული ეტიუდები და პარტიები

I
ა. ალიოხინი — ს. რეშევსკი
(ნოტინჰემი, 1936)



მოგება

ბრძოლა, მეტოქეობა - აი, რა მიზიდავს ჭადრაკში

სამუელ რეშევსკი
(1911-1992)

ამერიკელი მოჭადრაკე, მსოფლიო პირველობის ერთ-ერთი პრეტენდენტი 1930-50 წლების დასაწყისში, საერთაშორისო დიდოსტატი (1950), საჭადრაკო ლიტერატორი. 5 წლის ასაკიდან ითვლებოდა ჭადრაკის ვუნდერკინდად. უკვე 8 წლისა ატარებდა ერთდროული თამაშის სეანსებს ბერლინში, ვენაში, ლონდონსა და ევროპის სხვა ქალაქებში. წარმატებით გამოდიოდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

1961 წელს ერთმანეთს დაუპირისპირდა ამერიკის ორი უძლიერესი მოჭადრაკე — სამუელ რეშევსკი და ახალგაზრდა ამომავალი ვარსკვლავი რობერტ ფიშერი. 2 წაგებისა და 7 ყაიმის შემდეგ რეშევსკიმ შეწყვიტა წინააღმდეგობა და აღარ გააგრძელა მატჩი. იგი ამბობდა — მე მირჩევნია მე-19-ე ადგილზე გავიდე, თუ ფიშერი მე-20-ზე იქნებაო.

II
ვ. ჩეხოვერი
„შახმატი ვ სსსრ“, 1952 წ.



ყაიმი

პირადი ჩემპიონატების მუდმივი ფინალისტი

ვიტალი ჩეხოვერი
(1908-1965)

საკავშირო საჭადრაკო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, თეორეტიკოსი, საერთაშორისო ოსტატი (1950) პრაქტიკულ თამაშში, საერთაშორისო არბიტრი (1956) კომპოზიციაში, მრავალი წიგნის ავტორი, მუსიკოსი ფორტეპიანოს განხრით. შედგენილი აქვს 100-ზე მეტი ეტიუდი, მრავალი მათგანი აღინიშნა პრიზებით.

საკომპოზიციო ხელოვნების პირად ჩემპიონატებში (1947-65) იყო შვიდგზის მუდმივი ფინალისტი. 1956 წელს წააგო მატჩი თბილისელ ჰენრიხ კასპარიანთან (7,5:9,5).

მოამზადა
თამაზ შენგელია

I. 54.... ♗b4 55.♗e2 ♗a2 56.♗d2♗b4 57.fe♗b3 58.♗3d1 ♗:e5 59.♗g2♗e4 60.h4♗d3 61.♗a5♗b2+, 0:1

II. ♗e6 ♗e5 2.♗f4+ ♗3f3 3.♗d3♗d5 4.♗e1+♗3e2 5.♗g2 ♗g5 6.♗f4+ ♗3f3 7.♗h3! ♗h5 8.♗g1+ ♗3g2 9.♗e2 ♗e5 10.♗f4+ ♗3f3 11.♗d3 [illegible]

შენიშვნა: I. თურმე გენიალური მოჭადრაკეც აგებს პარტიას.
II. განუწყვეტელი თავდასხმები ხან ეტლზე, ხან მეფეზე თეთრების მოგებას ბლოკავენ.

◎ ხუთი რგოლი

ოლიმპიადის სტარტამდე ორ თვეზე ცოტა მეტია დარჩენილი, იაპონიის მოსახლეობის უმეტესობა კი, გაზეთ „იომიური სიმბუნის“ ამასწინანდელი გამოკითხვის შედეგების თანახმად, თამაშების გაუქმების მომხრეა. მიზეზი ბანალურია — კოვიდი.

კერძოდ, ფორუმის ჩატარების წინააღმდეგია რესპოდენტთა 59 პროცენტი, ხოლო მათგან, ვინც მხარდამჭერია, 23 პროცენტი მიიჩნევს, რომ შეჯიბრებები უმაყურებლოდ უნდა გაიმართოს.

ხალხის ხმა

რაც შეეხება ცალკეულ პრეფექტურებს, ტოკიოში, ოსაკაში, კიოტოსა და ჰიოგოში, სადაც საგანგებო რეჟიმი მოქმედებს, ვითარება კიდევ უფრო უარყოფითია — 64 პროცენტი ისევე, როგორც ოიტასა და ფუკუოკაში, სადაც შეზღუდვები 12 მაისს შემოიღეს, დანარჩენ 41 პრეფექტურაში კი ეს მაჩვენებელი საშუალოდ 57 პროცენტია.

ნაპრალები კულტურაში

ლიტერატურის მუზეუმის გაბზარული კედლები და ჩამონგრეული ჭერი; ხალხური საკრავების მუზეუმის გამსკდარი იატაკი — კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი სხვადასხვა კულტურულ ინსტიტუციას ეცნობა და შეხვედრების შემდეგ ავარიული შენობების ფოტოებს სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე ათავსებს.

„პირველ რიგში, სწორედ ინფრასტრუქტურის გამოსწორებაზე უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ის უნიკალური ფონდები, ხელნაწერი იქნება ეს, ფოტო თუ სხვა მასალა, რომელსაც ეს მუზეუმი მრავალი წელია უვლის და ინახავს, იყოს გამოფენილი, იყოს ხელმისაწვდომი და ჰქონდეს ამას არა მხოლოდ სამუზეუმო, არამედ საგანმანათლებლო დანიშნულებაც“, — თქვა მინისტრმა წულუკიანმა ლიტერატურის მუზეუმში სტუმრობის შემდეგ და დაამატა, რომ ბიუჯეტის გადასინჯვაზე იფიქრებს. ლიტერატურის მუზეუმის შენობის მძიმე მდგომარეობაზე დიდი ხანია საუბრობს მუზეუმის დირექტორი ლაშა ბაქრაძე. ძველ შენობაზე ბზარები კიდევ უფრო გაფართოვდა, რაც მუზეუმის მახლობლად მრავალსართულიანი ნაგებობის მშენებლობა დაიწყო. მუზეუმიდან რამდენიმე მეტრში, ჭანტურიას და თაბუკაშვილის ქუჩების კვეთაზე სასტუმრო „თორის“ ადგილას 14-სართულიანი სასტუმრო შენდება, რომელიც „რედისონის“ ქსელის ნაწილი იქნება. კიდევ ერთი მუზეუმი, სადაც მინისტრს კედლებზე ნაპრალები და დახეთქილი იატაკი დახვდა, ხალხური საკრავების მუზეუმია.

„ხალხური და გამოყენებითი ხელოვნებისა და ხალხური საკრავების მუზეუმები 2019 წელს საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის სტრუქტურული ერთეულები გახდნენ და ორივე მუზეუმს აქვს როგორც შენობის, ასევე საცავების მნიშვნელოვანი პრობლემა“, — ვკითხულობთ სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმი 2019 წელს კულტურის სამინისტრომ მის დირექტორთან კონსულტაციის გარეშე შეუერთდა საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმს — ხალხური საკრავების მუზეუმის მდგომარეობა ამ გაერთიანების შემდეგ არ გაუმჯობესებულა.

ერთადერთი მუზეუმი, რომლის დაზიანებული შენობის განახლება დაიწყო, ხელოვნების მუზეუმია, რომელიც 2017 წლიდან დახურულია დამთვალიერებლისთვის. ხელოვნების მუზეუმის შენობის აღსადგენად უკვე გამოცხადდა ტენდერი, რომლის მიზანიც კვლევის და საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვაა. სახელმწიფო ამ დოკუმენტებში, რომლებიც 5 თვეში უკვე მზად უნდა იყოს, 170 000 ლარს იხდის.

კვლევებმა და პროექტმა უნდა აჩვენონ, რამდენად მოხერხდება მეცხრამეტე საუკუნეში აგებული მუზეუმის შენობის აღდგენა და რა დაჯდება ეს პროცესი. ხელოვნების მუზეუმის შენობის რღვევა წლების წინ დაიწყო. 2018 წელს უკვე დოკუმენტურად იყო აღრიცხული შენობის ყველა ნაპრალი, არსებობდა ექსპერტიზის დასკვნა, სადაც შენობის დაზიანებები მესამე კატეგორიის სიმძიმის დაზიანებებად იყო შეფასებული.

„გასულ წლებში განხორციელებული მონიტორინგის მიუხედავად, ვიზუალური შესწავლით ფიზიკურად ვერ ხერხდება განვითარებული დეფორმაციების კონკრეტული სიდიდეების დაზუსტება. სააგენტოს სპეციალისტების შეფასებით, შენობაში წარმოქმნილი დეფორმაციული სურათი თვალნათლივ პროგრესულად ვითარდება“, — ნათქვამია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს სპეციალისტების დასკვნაში, რომელიც 2021 წლის გაზაფხულზე ჩატარებული კვლევის შედეგად შეიქმნა. დასკვნა ერთგვერდიანია და მას სამი სპეციალისტი აწერს ხელს.

მუზეუმების შენობებს და სახელოვნებო ინსტიტუციებს პრობლემები აქვთ არა მხოლოდ სიძველისა და მოუვლელობის, არამედ ცუდად ჩატარებული სარეაბილიტაციო ან სამშენებლო სამუშაოების გამოც. მაგალითად:

- **თელავის ისტორიული მუზეუმის საცავში რამდენიმეწლიანი რემონტის და რეკონსტრუქციაში დახარჯული 14 მილიონი ლარის შემდეგ, 2018 წელს საცავში წყალმა გაჟონა და ექსპონატები დააზიანა.**
- **ქუთაისში, ხარაზოვის ბაღში მდებარე ყოფილი ნიღბების თეატრის შენობის 4-წლიანი რემონტის შემდეგ რომ ისე განახლდა, სახურავიდან წყალი ჩადიოდა და ვენტილაციის სისტემა არ უმუშავებდა. ამ შენობის განახლებაში 2014 წელს სახელმწიფომ 555 000 ლარი დახარჯა.**

ზოგიერთი მუზეუმი მხოლოდ ახალი შენობების აშენების დაპირებების იმედადაა და ეს დაპირებები „მემკვიდრეობით გადაეცემათ“ ხელისუფლების ახალ-ახალ წევრებს. მაგალითად ონის მუზეუმისთვის ახალი შენობის აშენების პირობა 2016 წელს დდადო ბიძინა ივანიშვილმა, 2019 წელს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ, 2021 წლის 13 მაისს ინფრასტრუქტურის სამინისტრომ თქვა, რომ წლის ბოლოს ეს პროექტი აუცილებლად დასრულდება. 1952 წელს აშენებული ონის მუზეუმისთვის ჯერჯერობით არაფერი იცვლება და დამთვალიერებელს ძველ, ავარიულ შენობაში მასპინძლობს — აქვეა განთავსებული მისი საცავი.

კულტურის სამინისტრო, როგორც ცალკე უწყება, ახლახან შეიქმნა, მანამდე ის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შემადგენლობაში შედიოდა. იმის მიუხედავად, რომ მინისტრი თეა წულუკიანი უფლებამოსილების შესრულებას 2021 წლის მარტიდან შეუდგა, ქვეყანას 2012 წლიდან ის პოლიტიკური ძალა მართავს, რომელსაც მინისტრი წულუკიანი წარმოადგენს და ამ წლების განმავლობაში მცირედითაც კი არ გაუმჯობესებულა იმ დაწესებულებების შენობების მდგომარეობა, რომელთაც მინისტრი ახლა სტუმრობს. 2012 წლიდან ამ დრომდე, კულტურის სამინისტრომ არაერთი ისეთი ძვირადღირებული პროექტი დააფინანსა, რომელთა ნაცვლად მუზეუმების შენობების განახლება შესაძლოა უფრო შედეგიანი ყოფილიყო.

- **2017 წელს ინდოეთიდან საქართველოში ჩამოიტანეს და 6 თვის განმავლობაში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ატარეს ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილები — ამ პროცესს კულტურის და საგარეო საქმეთა სამინისტროები მართავდნენ და ქვეყნის ბიუჯეტს 343 000 ლარი დაუჯდა.**
- **2019 წელს ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღესასწაულის აღსანიშნავად მთავრობამ ბიუჯეტიდან 800 000 ლარზე მეტი დახარჯა.**
- **მხოლოდ 2019 წელს ბიძინა ივანიშვილის მიერ აშენებულ და შემდეგ სახელმწიფოსთვის ნაჩუქარ „ბლექ სი არენაზე“ ჩატარებული 8 კონცერტის ორგანიზებაში განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ 4,5 მილიონ ლარზე მეტი დახარჯა...**

კომენტარი ზედმეტია!

ნასტასია არაბული
რადიო თავისუფლება

სანთელი

გახსენება

თეიმურაზ კვესიტაძე



ერთი წელია, რაც ჩვენს შორის აღარ არის თეიმურაზ კვესიტაძე. დრომ სწრაფად გაირბინა და ვერ გაგვინელა მისი წასვლით გამოწვეული ტკივილი. დაგვრჩა მხოლოდ მოგონებები ღირსეულ კაცზე, გულისხმიერ ექიმზე, ერთგულ მეგობარზე, პატიოსან მოქალაქესა და შესანიშნავი ოჯახის პატრონზე.

იგი 1943 წელს დაიბადა პროფ. ივანე კვესიტაძისა და მარიამ გამილაღდიშვილის ოჯახში. 1967 წელს დაამთავრა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. 1969 წელს ჩააბარა ასპირანტურაში, დაიცვა დისერტაცია ონკო-გინეკოლოგიაში და მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში. ამასთან, იგი იყო სპორტსმენი, ხელბურთელი, და თავის დროზე საქართველოს ლეგენდარულ ნაკრებშიც თამაშობდა.

1971-1981 წლებში თეიმურაზ კვესიტაძე სამედიცინო საქმიანობას ეწეოდა ალჟირში. 1985 წელს მუშაობა დაიწყო მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაში და ხანგრძლივი სამუშაო მივლინებით იმყოფებოდა შვეიცარიაში, სამხრეთ კორეასა და ინდოეთში.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ მოღვაწეობა განაგრძო თბილისის ონკოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტში. იყო მრავალი, მეტად აქტუალური ნაშრომის ავტორი, მაღალპროფესიონალმა ექიმმა ბევრი ადამიანი იხსნა სიკვდილისაგან და პაციენტისადმი გულთბილი დამოკიდებულებით მათი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

იგი იყო შესანიშნავი მეოჯახე, მოსიყვარულე მეუღლე და მამა. თ. კვესიტაძისადმი ჩვენი სიყვარული ეფუძნებოდა მის გამორჩეულ პიროვნულ თვისებებს, არაჩვეულებრივ ადამიანურ ხიბლს, მის კეთილშობილ ბუნებასა და ნიჭს.

ძნელია, შეეგუო ასეთი ადამიანის დაკარგვას, მაგრამ სანუგეშოდ გვრჩება ის, რომ თეიმურაზ კვესიტაძის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი ოჯახის, ახლობლების, მეგობრების, კოლეგებისა და მადლიერი პაციენტების გულში.

მეგობრები

მეგობრები და ახლობლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართული ოჯახის ღირსეული წარმომადგენელი და ყველასთვის გვერდში მდგომი ადამიანი

დავით ბერძენიშვილი

ჯემალ ჭკუასელი, გურამ საღარაძე, ომარ ოსეყმაშვილი, ჯემალ კალანდაძე, არჩილ გოგელია, ლევან ჯიგუტი, ფრიდონ სულაბერიძე, თენგიზ უთმელიძე, თამაზ კიკალიშვილი, იური ოსიპოვი, ალიკ ოლლიშვილი, გუგა იოსელიანი.

გურამ საღარაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაეცვალა სიყრმის მეგობარი

დავით ბერძენიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის მეუღლეს, შვილებსა და შვილიშვილებს.

სანთელი

ომარი, ნიკო, დავითი, ლელა კერესელიძეები, ტრისტანი, იზო, ტარიელი, ჯემალი, ნანა, ალეკო, ბესო სრესელები ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი და უკეთილშობილესი, ქართულ მიწაზე, თბილისზე უსაზღვროდ შეყვარებული

იოსებ (სოსო) სვანიძის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებენ ოჯახს, მთელ სანათესაოსა და სამეგობროს.

„ვოისის“ ახალი გამარჯვებული

ყველაზე **გრანდიოზული მუსიკალური შოუს, „ვოისის“ გამარჯვებული სტეფანეს გუნდის წარმომადგენელი მაგდა ივანიშვილი გახდა. გამარჯვებული საქართველოს პირველი არხის მაყურებელმა გამოავლინა. სულ შემოვიდა 1 039 760 ხმა. მაგდა ივანიშვილმა მაყურებელთა ხმების 25,39 პროცენტი მიიღო. გამარჯვებულს შოუ „ვოისის“ ჯილდო და 20 ათასი ლარი ერგო.**

საქართველოს პირველი არხის შოუ „ვოისის“ მწვრთნელები არიან: **ქართული ფოლკ როკის ლეგენდა — ნიაზ დიასამიძე, ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსი — სალიო, სტეფანე — პოპ სენსაცია, რომელიც საქართველოს საზღვრებს გასცდა, ვირტუოზი მუსიკოსი, კომპოზიტორი, პიანისტი და დირიჟორი — ნიკოლოზ რაჭველი.**

აუცილებელია სახელოვნის ხელოვნების რეფორმა

საქართველოს **კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის №19 ხელოვნების სკოლას ეწვია, სკოლის ხელმძღვანელობასთან შეხვედრა გამართა და სკოლის აღსაზრდელების მიერ დადგმულ მუსიკალურ წარმოდგენას დაესწრო.**

სკოლის დირექტორის **თამაზ მოლაშვილისა** და სხვა ხელმძღვანელებისგან მინისტრმა სკოლის წარმატებებისა და მისი გამოწვევების შესახებ მიიღო ინფორმაცია, მადლობა გადაუხადა თბილისის მერიას ხელოვნების სკოლების ხელშეწყობისათვის და აღნიშნა, რომ აუცილებელია სახელოვნებო განათლების რეფორმა, რაც მუნიციპალიტეტებთან კოორდინაციაში უნდა განხორციელდეს.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის ხელოვნების სკოლას ჰყავს ჩასაბერი საკრავების ყველაზე დიდი და მრავალფეროვანი ბავშვთა ორკესტრი საქართველოში, ასევე გოგონათა ერთადერთი სასულე ორკესტრი. თეა წულუკიანმა სკოლის აღსაზრდელებსა და ხელმძღვანელობას მადლობა გადაუხადა დაუღალავი შრომისათვის და სრული მხარდაჭერა აღუთქვა. მინისტრმა სკოლის აღსაზრდელებს მათი საქმიანობის პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით შესთავაზა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სააქტო დარბაზში ღონისძიების გამართვა, რომელზეც სამინისტრო მიიწვევს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებს და პროფესიულ ანსამბლებს, რომლებსაც კადრების სერიოზული დეფიციტი აქვთ. მსგავსი ღონისძიებები კი ანსამბლების ხელმძღვანელებს ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენაში დაეხმარება.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

პიკასოს „ქალი ფანჯარასთან“ გაიყიდა

ნიუ-იორკში **Christie's-ის აუქციონზე პაბლო პიკასოს ნახატი „ქალი ფანჯარასთან (მარია ტერეზა)“ 103 მილიონ დოლარად გაიყიდა.**

პაბლო პიკასოს ნახატი აუქციონის დაწყებიდან 19 წუთში გაიყიდა და საბოლოო ფასმა 90 მილიონი დოლარი შეადგინა, თუმცა ყველა დამატებითი გადახდის გათვალისწინებით, მყიდველს 103.41 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევს. აღსანიშნავია, რომ აუქციონის დაწყებამდე ექსპერტებმა აღნიშნული ნახატის ღირებულება 55 მილიონ დოლარად შეაფასეს.

2021 წლის მოდური ფერი

ექსპერტებმა **ყავისფერი 2021 წლის ყველაზე მოდურ ფერად დაასახელეს. მოდის სახლ Gucci-ის მანეკენებმა მაისის ჩვენებაზე Ouverture-ის ხაზი კარამელისფერსა და ქვიშისფერში გადაწყვეტილი მოდელები წარმოადგინეს, ტანსაცმელს ყავისფერი ტონებიც ჰქონდა.**

ანალოგიურ შეფერილობაზე გააკეთეს აქცენტი Louis Vuitton-ისა და Fendi-ის ბრენდებმა საკუთარ კოლექციებში. ამასთან, გამოცემის ცნობით, ბევრი ცნობილი ადამიანი ყავისფერ ტანსაცმელსა და აქსესუარებზე აკეთებს არჩევანს. მაგალითად კიმ კარდაშიანი რეკლამაში ყავისფერი შეფერილობის ზამშის შარვალში გამოჩნდა.

უხუცესმა დიჯეიმ დასვენება გადაწყვიტა

ჰონგ-კონგში **96 წლის დიჯეიმ რეი კორდეირომ თავისი უკანასკნელი რადიო გადაცემა ჩაატარა და პენსიაზე გავიდა.**

კორდეირო რადიომაუწყებლობაში 72 წელი მუშაობდა. 2000 წელს ის გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა როგორც ყველაზე ხანგრძლივი კარიერის მქონე რადიოწამყვანი. ბოლო ეთერის დროს მან მსმენელებს მადლობა გადაუხადა.

შექმნეს ლეგენდარული „ტიტანიკის“ ასლი



პროექტის **მთავარი სპონსორი ინვესტორი სუ შაოცზიუანია, რომელსაც ლეგენდარული საკრუიზო ლაინერის აგების სურვილი 1997 წელს ფილმ „ტიტანიკის“ ნახვის შემდეგ გაუჩნდა.**

„ტიტანიკის“ ასლის შესაქმნელად კონსტრუქტორებს 3 წელზე მეტი დასჭირდათ, ორიგინალის ასლი ერთ მილიარდ იუანადაა (4153.5 მილიონი) შეფასებული. ლაინერი ორიგინალის ზუსტი ასლია. ახალი ლაინერი ხმელეთზე, სიჩუანის პროვინციის თემატურ პარკში განთავსდება. ამასთან ტურისტები 5-ვარსკვლავიან ლაინერზე ღამის გატარებას შეძლებენ. ერთი ღამის გასატარებლად მათ 2 000 იუანის (4150) გადახდა მოუწევთ.

„იმედი მაქვს, რომ ეს ლაინერი ამ ადგილას 100 ან 200 წლის შემდეგაც იდგება“ — აცხადებს პროექტის სპონსორი.

ყველაზე უცნაური სტადიონი

სლოვაკეთში, ჩიერნი ბალოგის დაბაში, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უცნაური სტადიონი მდებარეობს, რომლის მოედანსა და ტრიბუნას შორის მატარებლის ლიანდაგები გადის.

რკინიგზა ჩიერნი ბალოგში მე-20 საუკუნის დასაწყისში გაიყვანეს და ის ძირითადად ხე-ტყის გადასატანად გამოიყენებოდა. 1982 წელს რკინიგზა გაჩერდა, სამ წელიწადში კი მის გვერდით ადგილობრივი კლუბის „ტატრან ჩიერნი ბალოგის“ სტადიონი აშენდა, ისე რომ ლიანდაგები ტრიბუნასა და მოედანს შორის მოექცა. 10 წლის შემდეგ რკინიგზა ისევ ამოქმედდა, მატჩები კი სტადიონზე კვლავ იმართება და, რაც ყველაზე საინტერესოა, ზოგჯერ მატარებელი უშუალოდ მატჩის დროს დადის და ეს მატჩების გამართვას ხელს საერთოდ არ უშლის.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 19 მაისს

სრ

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.4186; ევრო - 4.1392;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.8110;
100 რუბლი - 4.6170; თურქული ლირა - 0.4052;
აზერბაიჯანული მანათი - 2.0072;
1000 სომხური დრამი - 6.5420.

ამინდი 17 მაისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +12, დღე +33
მთიანი რაიონები - ღამე +8, დღე +31
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +12, დღე +28
მთიანი რაიონები - ღამე +10, დღე +31
თბილისი: ღამე +15, დღე +31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge